



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზათი №8. ოქტომბერი. 2013.

თავისუფლებისა და დემოკრატიის გზაზე საქართველომ კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგა. 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ქართლოსიანთა სიბრძნე და კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო. „ხმა ღვთისა ხმა ერისაო“, — ვულოცავთ ბატონ გიორგი მარგველაშვილს დამაჯერებელ, ღირსეულ გამარჯვებას უპრეცედენტოდ სამართლიან, გამჭვირვალე, თავისუფალ არჩევნებში და ვუსურვებთ ქართველი ერის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ მუხლჩაუხრელ გარჯასა და შრომას, რათა მაქსიმალურად გამოვლინდეს სიკეთის, ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, თანადგომის, მიმტევებლობის ისტორიული ნიჭი, უნარი და თვისებები, რომელმაც მოგვიყვანა და გადაგვარჩინა დღემდე. გვჯერა და გვწამს არჩევანისა — ღირსეული, ერთიანი, ძლიერი, ნათელი, წარმატებული საქართველოსი. კიდევ ერთხელ გილოცავთ!!!



კონფერენსია სწავლის პროექტის ეზილით



ოქტომბრის თბილი მზითა და სასიამოვნო სუსხით შეგვეგება სტუმართმოყვარე ერევანი 2013 წლის 10 ოქტომბერს. ქალაქის გაცნობა ერევნის მატარებლის სადგურიდან დაიწყო და გავაგრძელებთ ერევნის სამედიცინო უნივერსიტეტით, სადაც უნდა ჩატარებულიყო სემინარები უმაღლესი განათლების ხარისხის მართვისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით. სემინარზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმომადგენლობითი დელეგაციით გახლდით, კერძოდ საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ნანა ყურმუზაძე, ამავე სამსახურის სპეციალისტი სოფიკო ცქვიტინიძე, ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის უფროსი დარეჯან ჯაში, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი ასიკო ცინცაძე და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლეილა ახვლედიანი.

ერევნის სამედიცინო უნივერსიტეტის პომპეზური შენობის ფოიეში უამრავი ხალხი ირეოდა, მათ შორის საქართველოდან იყვნენ თბილისის, ქუთაისის და ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების, ასევე, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. მრავლად იყო უცხოელი ექსპერტები და სომხეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. სემინარი გახსნა PICOA პროექტის კოორდინატორმა **Jana Mühren**-მა. საქართველოს დელეგაცია სემინარის მონაწილეთა წინაშე წარდგა სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლებისა და უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ განუვლი სამუშაოების მოკლე მიმოხილვით. ბათუმის უნივერსიტეტის მხრიდან პრეზენტაციაში მონაწილეობდა ლეილა ახვლედიანი. თითოეული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ისაუბრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე 16 ტემპუსის პროექტის მონაწილეა. მათ შორის ხუთი მიმდინარე წელს დაფინანსდა. მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ-ერთ მათგანზე: უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შედარებითობის გზით (PICQA). პროექტი 2010 წელს დაფინანსდა. პროექტის კოორდინატორია გერმანიის მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინჟინერიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სააგენტო, პროექტში ჩართულია საფრანგეთის პედაგოგთა მომზადების პროფესიული ცენტრი, ალიკანტეს უნივერსიტეტი (ესპანეთი), როტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), ასევე საქართველოსა და სომხეთის განათლების ხარისხის განვითარების ცენტრები და ოთხ-ოთხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოსა და სომხეთისგან. ჩვენს უნივერსიტეტში პროექტს კოორდინაციას უწევს ასოცირებული პროფესორი ლეილა თურმანიძე. გასული სამი წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში არაერთი სასარგებლო ვიზიტი თუ სემინარი ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებში ევროპული გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. მიმდინარე წლის 10-11 ოქტომბერს კი სომხეთის ქალაქ ერევანში ჩატარდა კონფერენცია, მის მუშაობაში ჩვენი უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. შედეგებზე ქალბატონი **ლეილა ახვლედიანი** და **ასიკო ცინცაძე** გვიამბობენ.

იყო საქართველოსათვის ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება და მსმენელს გააცნო ხარისხის მართვის ქართული მოდელი. ყურადღება გამახვილდა იმ ასპექტებზეც, რომ უნივერსიტეტების აკრედიტაციის პროცესში აუცილებელია დამსაქმებლისა და სტუდენტთა ჩართვა. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა ცხარე დისკუსია, სადაც გამოიკვეთა ქართული უნივერსიტეტების არცთუ წარუმატებელი სვლა ბოლონის პროცესის ფეხდაფეხ. უცოელმა ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს და მადლობა გადაუხადეს ქართულ დელეგაციას და ზოგადად საქართველოს უნივერსიტეტებს განუვლი მუშაობისათვის. სემინარი მრავალმხრივი გახლდათ და მოიცავდა არა მხოლოდ აკრედიტაციისათვის მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელი საკითხების განხილვას. დღეისათვის აღარავინ დავობს იმაზე, რომ უმაღლესი სასწავლებლებში სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება გადაუდებელი საჭიროებაა გამოდინარე იქედან, რომ ქვეყნის კონკუ-

რენტუნარიანობას მეტწილად განსაზღვრავს მაღალკვალიფიციური კადრები. სწავლების ხარისხი ეს არა მხოლოდ თეორიული ცოდნით გაჯერებული, არამედ პრაქტიკული უნარჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულია. ეს დღეისათვის უპირველესი საკითხია, როგორც უნივერსიტეტისათვის, ასევე ცალკეული სტუდენტისათვის. სწავლა/სწავლების ახალი მიდგომით სტუდენტი ჩართული უნდა იყოს როგორც ლექციის, ასევე ჯგუფში მუშაობის პროცესში (ანუ აქტიური სწავლება). სწავლების მოტივაცია მოითხოვს სტუდენტში სტიმულის აღძვრას, რომლის შემოქმედი მასწავლებელია. სწორედ აღნიშნულ მეტოდებსა და მიდგომებზე მოსმენილი მოხსენებები, წარმოდგენილი ერევნის სამედიცინო უნივერსიტეტში იძლევა საშუალებას შევად-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)



კონფიანსია სეპარატისტების პროექტის პილიტი

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

როტ ჩვენს უნივერსიტეტში გამოყენებულ მეთოდებთან და გამოვიტანოთ დასკვნა ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიდგომა სტუდენტისადმი, როგორც განათლებული მოქალაქის აღზრდა-ჩამოყალიბებაში მოითხოვს არა მხოლოდ კონკრეტული დისციპლინების სწავლებას, არამედ არასააუდიტორიო მუშაობას მათთან. როგორც მოსმენილი მოხსენებებიდან ჩანდა პროფესორები სტუდენტებთან ერთად განიხილავენ სოციალურ საკითხებს, ცალკეული სტუდენტის მოთხოვნებს სწავლებისას მისთვის ადვილად აღქმადი მეთოდების ჩართვას, არსებულის კორექტირებას და. ა.შ.

გამოკვეთა ისიც, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამებისა თუ სწავლების მეთოდების გადამუშავებასა თუ ახლის შემუშავებაში დამსაქმებლის ჩართვა. ანუ შეიკრა წრე: სტუდენტი-უნივერსიტეტი-დამსაქმებელი - და კვლავ სტუდენტი. ამ მიმართულებით ბათუმის უნივერსიტეტი უკვე გადადგა კონკრეტული ნაბიჯები. ტემპუსის პროექტის Cap4Com ფარგლებში მალე აქტიურ მუშაობას დაიწყებს საწარმოებთან თანამშრომლობის ცენტრი, რომელიც მუდმივად გამოიკვლევს რეგიონში არსებული საწარმოების, სხვადასხვა ფირმისა და ორგანიზაციის საჭიროებებს როგორც სპეციალისტებზე, ასევე ინოვაციურ კვლევებზე. სპეციალურად შექმნილი საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს რათა საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა პასუხობდეს დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

როგორც ჩანს, კარგი სწავლების კონკრეტული რეცეპტი არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს გამზადებული რეცეპტი სწავლების ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის სფეროში. არის ინსტრუქციები, რომელთა ბაზისად გამოყენება შეიძლება. უნივერსიტეტი და აკადემიური პერსონალი უნდა შეძლოს სწავლების კონკრეტული მეთოდების შემუშავება, ანუ აქ ვეგულისხმობთ, რომ კონკრეტული უნდა მიმართოს არა შემუშავებული ინსტრუქციების შესრულებას, არამედ გამოყენებული მეთოდებით მიღებული შედეგის ხარისხზე და იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულ საკითხზე ერევანში წარმოდგენილ მოხსენებებში კონკრეტული მიდგომები არ განხილულა, მაგრამ ნათლად იკვეთებოდა, რომ ხარისხის მართვის ყველა ღონისძიება მიმართული იყო შედეგზე და არა რომელიმე კონკრეტული მეთოდის რეალიზაციაზე სწავლების პროცესში.

სემინარის ბოლოს დაიგეგმა ხარისხის უზრუნველყოფის რეგიონალური ქსელის შექმნა. ამასთან დაკავშირებით აუდიტორია დაიყო ჯგუფებად, საკუთარი მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად. ჩვენი უნივერსიტეტის დელეგაცია აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში. შემაჯამებელ სხდომაზე გამოიკვეთა გარკვეული დეტალები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყო ასეთი ქსელის ეფექტურ ფუნქციონირებას. გამოითქვა უამრავი მოსაზრება თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნება ეს ქსელი გამოცდილების გაზიარებისათვის, რაც გულისხმობს უკვე აპრობირებული და წარმატებული მეთოდების სწრაფ და ეფექტურ დაწერვას.

ამგვარი სემინარები საშუალებას იძლევა გაეცნო გამოცდილი უნივერსიტეტების მიღწევებს, მოინონო თავი მიღწეულით, შეიძინო ახალი მეგობრები და კერძოდ, პირად საუბრებში დააკონკრეტო ზოგადი დეტალები. სწორედ ასეთი შეხვედრების დროს იბადება გენიალური იდეები და პრობლემათა გადაჭრის კრეატიული გზები.

ლელია ახვლედიანი,
ასიკო ცინცაძე

DAAD-ის სინფორმაციო მუშაობა გაიმართა



გერმანელმა პროფესორმა შეხვედრაზე მიმდინარე სასტიპენდიო პროგრამები წარმოადგინა, ისაუბრა საზაფხულო სკოლებზე, კვლევით და სასწავლო სტიპენდიებზე. DAAD-ის წარმომადგენელმა დეტალურად განიხილა საკონკურსო პირობები, განაცხადის შეფასების სპეციფიკა და კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმები.

DAAD-ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) ქუთაისის სინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა როლფ ცაილერმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

ბრენინგები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის

დეტროიტის მერსის უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლორი მაკდონალდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. ამერიკელმა პროფესორმა უმაღლესი საგანმანათ-



ლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებისათვის ტრენინგი ჩაატარა თემაზე: „სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს სკოლაში“ და დარგის სიახლეები გააცნო. განათლების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გამართულ სემინარზე უცხოელმა მომხსენებელმა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა, როგორცაა „მასწავლებლის პროფესიის თავისებურებანი“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდები“.

უნივერსიტეტში აზვისტოს ომში დაღუპული გმირის ამირან მამალაძის მემორიალური დაფა გაიხსნა



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანის, V ქვეითი ბრიგადის კაპრალ ამირან მამალაძის მემორიალური დაფა გაიხსნა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურმა საბჭომ ავგისტოს ომში დაღუპული გმირის უკვდავსაყოფად უნივერსიტეტის მცირე სპორტულ დარბაზს სტუდენტ ამირან მამალაძის სახელი მიანიჭა. ახალგაზრდა მებრძოლი ერთადერთი სტუდენტი იყო აჭარის რეგიონიდან, რომელიც 2008 წლის 9 ავგისტოს ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს დაიღუპა. იგი საცეცხლე ზონაში დაჭრილი თანამებრძოლებისა და მეთაურის გამოსაყვანად დაბრუნდა და გმირულად დაეცა. მემორიალური დაფა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და დაღუპული გმირის მამამ, გურამ მამალაძემ გახსნეს.

საზოგადოების წარმომადგენლებმა ამირან მამალაძე კიდევ ერთხელ გაიხსენეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას. ტრაგიკულად დაღუპული გმირის ღვაწლზე ისაუბრეს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ

ზურაბ ზოიძემ, აჭარის არ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა მერაბ ნაგერვადემ, უნივერსიტეტის პროფესორმა ბესიკ ციციამა, შუახევის ამირან მამალაძის სახელობის ბარათაულის საჯარო სკოლის დირექტორმა ნოდარ ჯინჭარაძემ, ალიოს სახელობის ბატალიონის ჯარისკაცებმა, სტუდენტებმა, თანაკურსელებმა და მეგობრებმა. მემორიალური დაფის გახსნის შემდეგ „შეფაროსნებმა“ ქართული საბრძოლო ხელოვნება წარმოადგინეს. ასევე გაიმართა ამირან მამალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველობა მკლავჭიდა და ბაგირის გადაწევაში. პირველი ადგილი მალხაზ ჭელიძეს ერგო, მეორე ადგილი - პაატა შავაძეს და მესამე ადგილი - ზურა ვანაძეს.

ამირან გურამის ძე მამალაძე დაიბადა 1985 წლის 21 ივლისს, შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულში. 2002 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საჯარო სკოლა და 2004 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე.

ამირან მამალაძეს 2005 წელს პროექტში „სასოფლო ტურიზმი“ აქტიური მონაწილეობისათვის გადაეცა დიპლომი. ამავე წელს ახალგაზრდა სპორტსმენს აჭარის მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაცია აჯილდოებს დიპლომით საქართველოს დამოუკიდებ-

ლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილ მძღვოსნურ კროსში მესამე ადგილის დაკავებისათვის.

2008 წელს აჭარის არ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ქობულეთის ტურიზმის სასწავლო ცენტრი აჯილდოებს სიგელით ვაჟებს შორს სამთო-სათხილამურო სპორტში, 4000 მეტრზე რბოლაში III ადგილის დაკავებისათვის.

2008 წლის 2 მაისს ამირან მამალაძე ჩაირიცხა ქართული ჯარის 53-ე ბატალიონის მე-5 ბრიგადაში.

2008 წლის 16 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის №610 განკარგულებით ამირან მამალაძე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

2009 წლის 9 ავგისტოს ამირან მამალაძე აჭარის საკოორდინაციო საბჭომ და საქართველოს კარატეს ფედერაციამ



გადასცა დიპლომი, მიენიჭა აღმოსავლურ ორთაბრძოლებში, კარატეში პირველი დანი და შავი ქამარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №96/6 ბრძანების საფუძველზე, სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლას მიენიჭა სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირის ამირან მამალაძის სახელი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფროსი ბაბუა ბერიანის პროფესორ-მასწავლებლისა და სტუდენტების შეხვედრა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ბაბუა ბერიანის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ალი-



ოშა ბაკურიძესთან ერთად პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდა. სამინისტროს წარმომადგენელმა შეხვედრაზე განათლებისა და მეცნიერების რეფორმებსა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე ისაუბრა. ყურადღება გაამახვილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალ მმართველობით ორგანოზე - სენატზე, სტატუსზე, ავტონომიურობაზე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებზე, აკადემიური პერსონალის არჩევის წესზე, სტუდენტური პარლამენტის შექმნასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მამუკა ბერიანისმა სტუდენტებს სადოქტორო პროგრამების დაფინანსების ახალი წესი, გაცვლითი პროგრამები და სტიპენდიები გააცნო. სამინისტროს დაფინანსებით გაიზრდება წიგნების ფონდის ბიუჯეტი და ინტერდისციპლინარული სამეცნიერო პროექტები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. შეხვედრა დიპლომის რეჟიმში წარმართა და დეპარტამენტის უფროსმა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების აქტიულო შეკითხვებს უპასუხა.

აღიარებული პედაგოგი და ჯანმრთელი პიროვნება

(ფსიქოლოგიის დოქტორი ილია ექყაყმაძე 85 წლისაა)

არიან ადამიანები, რომლებიც წყნარად, ყოველგვარი ხმაურისა და რეკლამის გარეშე აკეთებენ საქმეს, მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. გარემოებათა ცვალებადობის მიუხედავად, ისინი არასდროს ღალატობენ საკუთარ მრწამსს, ზნეობრივ პრინციპებს და ყოველთვის რჩებიან პიროვნებად. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ლექტორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი) ილია ექყაყმაძე, რომელსაც დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. 15 წლის წინათაც მე საშუალება მქონდა საგაზეთო წერილით მიმელოცა მისთვის დაბადებიდან 70-წლისთავი. ვაღიარებ, განვლილი წლების მანძილზე ბატონ ილიას შემართებაში, მრწამსში, საქმიანობაში დამოკიდებულებაში არაფერი შეცვლილა. ვინც იცნობს ბატონ ილიას, მისი მუშაობის სტილს, შრომისმოყვარეობას, ენერგიულობას, სრულიად დამეთანხმება ნათქვამში. იუბილარი ჩვეულ ფორმაშია.



რან კახიძე. როგორც თვითონ არაერთხელ განუცხადებია, ამ სასწავლებელში მუშაობამ დიდი როლი შეასრულა ი. ექყაყმაძის, როგორც პედაგოგის ჩამოყალიბების საქმეში.

ილია ექყაყმაძემ მეტად შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრების გზა გაწვლია. იგი დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ნალობილეში. 1947 წელს დაამთავრა მერიის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის სპეციალობით. ამ პერიოდში უნივერსიტეტში ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ლექციებს კითხულობდნენ: დ.უზნაძე, რ.ნათაძე, ა.ფრანგიშვილი, ბ.ხაჭაპურაძე, ნ.ადამაშვილი, ე.ბაბიძე, დ.ბაქრაძე, გ.კეჩუაშვილი, კ.ბაქრაძე, ს.წერეთელი, პ.შარია, შ.ხიდაშვილი, ა. ქუთელია, შ.გაბელაია და სხვები. ბატონ ილიას წილად ხვდა ბედნიერება მოეხდინა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის აკად. დიმიტრი უზნაძის ლექციები. ეს კი მომავალი ფსიქოლოგისათვის თავისთავად ძალიან ბევრს ნიშნავდა.

1953 წლის სექტემბრიდან ი.ექყაყმაძე მუშაობს ქ.ბათუმის ვაჟთა 1, 6, ქალთა 4 და 9 საშუალო სკოლებში ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მასწავლებლად. 1954 წლიდან შეთავსებით ასწავლის ბავშვის ფსიქოლოგიასა და სკოლამდელთა პედაგოგიკას ლენინის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში.

1956 წლის მაისიდან ინიშნება შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შემდგომი უნივერსიტეტის, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის უფროს ლაბორანტად. 1959 წლიდან არის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის (1990 წლიდან ფსიქოლოგიის) კათედრის, შემდეგ სოციალური მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი და დოცენტი. კითხულობს ლექციებს ფსიქოლოგიის ნამყვან დარგებში, ხელმძღვანელობს საკურსო, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულებას, პედაგოგიურ პრაქტიკას სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. სისტემატურად ამზადებს სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის, წლების მანძილზე იყო კათედრისათვის არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი, კათედრის და დეპარტამენტის მეთოდკომისიის თავჯდომარე.

ეს ჩამონათვალი საკმაოდ

გრძელია, მაგრამ მშრალია და სქემატური. იგი არაფერს გვეუბნება ბატონ ილიას, როგორც ლექტორის, აღმზრდელისა და დამრიგებლის ფაქტობრივი მუშაობის ხასიათზე სტუდენტებთან. ეს მუშაობა კი უაღრესად ინტენსიურია. მაშინ, როდესაც ზოგიერთი ცუდლუტი ლექტორი საპატიო მიზეზებს ეძებს, რათა დაიგვიანოს, ანდა გააცინოს ლექცია, ბატონ ილიას, პირიქით, არაერთი მაღალი დონის, მნიშვნელოვანი საფაკულტეტო თუ საუნივერსიტეტო ღონისძიება გაუცდენია, შესვენებაზე და დასვენებაზე უარი უთქვამს, ბანკეტზე თუ პურ-მარილზე დაგვიანებით მისულა, ან საერთოდ არ მისულა მხოლოდ იმის გამო, რომ ლექცია არ გაუცდინა, სტუდენტებისთვის რაიმე არ დაეკლო. იგი მთლიანად იხარჯება სტუდენტებთან მუშაობაში. ყველაზე უფრო საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე მისთვის სტუდენტებთან მუშაობაა.

და რა გასაკვირია, რომ ი.ექყაყმაძე არის მომთხოვნიც, პრინციპულიც და მკაცრიც. მისთვის არ არსებობს ავტორიტეტი, გარდა სტუდენტის ცოდნისა. ამიტომაც ძალიან ძნელია მასთან საქმის ჩანყობა, ჩაძრომა, ამიტომ არის, რომ ადამიანები (მისი კოლეგები, ხელმძღვანელი მუშაკები თუ სხვები) ვერ მიდიან მასთან ამ რიგის საკითხების მოსაგვარებლად. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი ვითარება მაინდამაინც არც სტუდენტს სწყინს და არც მის პატრონს. და ეს იმიტომ, რომ დაწერილი ნიშანი აბსოლუტურად ობიექტურია, ლექტორი კი ყოველმხრივ მართალია.

ბატონი ილია ჭეშმარიტი პროფესიონალია. როდესაც ფსიქოლოგიის ახლად გახსნილ სპეციალობაზე ?ანწყობის ფსიქოლოგიის ახალი, სისტემატური კურსის ნაკითხვა გახდა აუცილებელი, დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფესორმა გურამ ჩაგანავამ ეს საქმე უყოყმანოდ მას მიანდო. მართლაც ვის, თუ არა ილია ექყაყმაძეს, რომელსაც თავის დროზე განწყობის ფსიქოლოგიის თეორიის ავტორისთვის ჰქონდა მოსმენილი, უნდა წაეკითხა ეს კურსი და ბატონმა ილიამაც ახალგაზრდული შემართებით, მა-

ღალ პროფესიულ დონეზე წარმართა ეს საქმე.

ი. ექყაყმაძე პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. მისი პირველი ნაშრომის თეზისები დაიბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციის მასალებში 1952 წელს. აქედან მოყოლებული მან მრავალი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა პედაგოგიური ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. 1972 წლიდან პროფესორ შალვა ჩხარტიშვილის რჩევითა და ხელმძღვანელობით დაიწყო ექვსწლიან ბავშვთა სასკოლო ცხოვრებისათვის ფსიქოლოგიური მზადყოფნის ექსპერიმენტული გამოკვლევა, რის შედეგებიც დაიბეჭდა ცალკე წიგნებად. 1984 წელს ექვსწლიან ბავშვთა სწავლების პრობლემაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია, რისთვისაც მიენიჭა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, შემდეგ კი დოცენტის წოდება.

აქვე არ შეიძლება არ ითქვას შემდეგაც. ი.ექყაყმაძის სამეცნიერო ხარისხის დაცვა რომ თვითმიზნად ექცია, შესანიშნავი ბიბლიოთეკისა და მისი ცოდნა-გამოცდილების მქონე პიროვნებას, ცხადია, უფრო ადრე უნდა დაეცვა დისერტაცია. მაგრამ როგორც საჯარო დაცვაზე სიტყვით გამოსულმა აკად. რ. ნათაძემ აღნიშნა, - ?გორც ჩანს დისერტანტს არც სამეცნიერო ხარისხის დაცვა ეჩქარებოდა და არც ამ ხარისხით მიღებული ჯამაგირი აინტერესებდა. ამიტომაც წარმოადგინა მან ასეთი მშვენიერი ნაშრომი. გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის ამ სიტყვებს ჩვენც ვადასტურებთ.

საგულისხმოა, რომ 1990-იანი წლებიდან ილია ექყაყმაძე ინტენსიურად მუშაობს ესოდენ საჭირო სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საკითხებზე. მისი მეცნიერული და პედაგოგიური გამოცდილების ამსახველი მასალები ხშირად დაბეჭდილია როგორც ქართულ, ისე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. როგორც დიდი გამოცდილების მქონე ფსიქოლოგი, წლების მანძილზე წარმატებით მუშაობდა ბათუმის პროფილური გიმნაზიის პრაქტიკოს-ფსიქოლოგად. იყო აჭარის განათლების სამინისტროს მედიკო-პედაგოგიური კომისიის წევრი.

გარდა მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობისა, ი.ექყაყმაძე იყო და არის აქტიური საზო-

გადობრივი მუშაკი. იგი ახაგაზრდობის დაუზარელი მრჩეველიცაა. დეპარტამენტის ახალგაზრდა ლექტორ-მასწავლებლებიც ხშირად მიმართავენ მას დახმარებისთვის და მათი საყვარელი მოძღვარის და მათი საყვარელი მოძღვარის მისთვის არ არსებობს გამოთქმები: არ შემიძლია, დრო არა მაქვს, შეუძლოდ ვარ და ა.შ. მუშაობის ყველა უბანზე და ყოველთვის ბატონი ილია ავლენს დიდ ენერგიას და თავდადებას საქმის ინტერესებისთვის. ამ მხრივ იგი არა მარტო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის, არამედ მთელი უნივერსიტეტის სანიმუშო ლექტორია. სწორედ ამ ღირსებების გამო იგი თავის დროზე დააჯილდოვეს საკავშირო მნიშვნელობის ორდენით, რაც უნივერსიტეტის სინამდვილეში საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.

ყველა სიკეთესთან ერთად, ბატონი ილია საუკეთესო მეურნეცაა. მან შესანიშნავად იცის მეციტრუსეობასა და მეფუტკრეობასთან, კივისა თუ ფეიჭოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საკითხები. არა მარტო იცის, არამედ პრაქტიკულადაც ხელეწიფება ეს. ამასი მე პირადადაც დავრწმუნდი, როდესაც ვნახე, თუ როგორი სიმარჯვით სხლავდა (და მასწავლიდა კიდევ) 80 წელს გადაცილებული ბატონი ილია მისივე ნაჩუქარი ნერგებით გაშენებულ, უკვე მსხმოიარე კივის კულტურას ჩემთან, გონიოში. ბარემ აქვე იმასაც დავუმატებ, რომ იუბილარს მოლხენაც, ღვინის სმაც და ქართული სიმღერაც ეხერხება. იგი ამ მხრივაც გამორჩეულია.

ილია ექყაყმაძე უღალატო, სიტყვაძუნწი და საქმის კაცია. მან იცის ჭეშმარიტი მეგობრობაც, თანადგომაც და თანაგრძნობაც. ამ სტრიქონების ავტორს ეამაყება, რომ ჩვენს დეპარტამენტში მუშაობს ასეთი პიროვნება, მოქალაქე და მამულიშვილი, რომელთანაც მას საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს. ამ ურთიერთობების საფუძველი კი, ცხადია, ჩვენი მრწამსისა და მსოფლმხედველობის ერთიანობაა.

ვუსურვებთ ბატონ ილიას, ჩვენს მოძღვართ-მოძღვარს, შემართებას და კვლავაც ნაყოფიერ მუშაობას მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქვეყნოდ მნიშვნელოვან სფეროში.

ნოდარ ბარამიძე,
ფსიქოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ბატონ ილიას

ძალიან ძნელია ადვილად მოიძებნოს სიტყვები იმ წერილის დასაწყებად, რომელიც თქვენზე უნდა დაიწეროს და მაინც, ბატონო ილია... თქვენ ხართ ადამიანი, ლექტორი, რომელიც ყველას უყვარხართ და ყველასათვის უსაყვარლესი ლექტორი იქნებით მუდამ. ალბათ, მოსაძებნი სიტყვებით ისიც ძნელია, იყო ლექტორი და თანაც მკაცრი ლექტორი, მაგრამ მაინც მოუთმენლად ელოდებოდა სტუდენტები თქვენს გამოჩენას აუდიტორიის ზღურბლთან... წინ ხომ 50 წუთია. 50 წუთი, რომელიც თქვენ დაგეთხოვებოდა და ტანჯვის ზარით იწყება და შვების ზარით მთავრდება.

ბა. აი, აქაც თქვენი გონებამახვილური იუმორი.

დღეს უკვე მესამე კურსზე ვართ. პირველი კურსის მერე არ გვექონია თქვენთან სალექციო შეხვედრა და ისევ თქვენთან შეხვედრის მოლოდინში ვართ. უფრო მეტიც, ყოველდღიურად ვისხენებთ ფსიქოლოგიის მესამე კურსის სტუდენტები თქვენს ე.წ. გამო-ნათქვამებს, რომელიც ასე თავისთავად შემორჩა ჩვენს მეხსიერებაში.

ნათქვამია, „ხის სიმალლე მინის ზემოდან კი არა, მისი ფესვებიდან იზომებაო და ალბათ, ვინ იცის, რამდენი დაგვაკლდებოდა, ჩვენი ფსიქოლოგიური განათლებისათვის თქვენ რომ არ ჩაგვეყარათ ფესვები, ბატონო ილია. თქვენ ხომ ის „ბატო-

ნი ილია ხართ, რომელთანაც სტუდენტი დიდი სიამოვნებით ატარებს „შვების ზარით დაწყებულ „ტანჯვის ზარამდე დამთავრებულ დროის მონაკვეთსაც კი.

ჩვენ პირველ რიგში, დიდ მადლობას გიხდით იმისათვის, რომ არსებობთ და ჩვენს გვერდით ხართ. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მრავალ ასეთ იუბილეზე დასწრებას.

ალბათ, ეს ის მცირედაა, რისი გადმოცემაც რეალურად შეგიძლია, თუ რა გრძნობთ ვართ სავსე თქვენს მიმართ.

პატივისცემით,
ფსიქოლოგიის
სპეციალისტის მისამე
კურსის სტუდენტაჲი

ძვირფასო ბატონო ილია!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს 85 წლის იუბილეს. გისურვებთ ღვთისწყალობას, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას. ყოველთვის იყავით ასეთივე მოსიყვარულე, მხიარული და საინტერესო.

უკვე მეოთხე წელია გვასწავლით, გვარიგებთ, დაულავად ცდილობთ გულწრფელად შეგვაყვაროთ ფსიქოლოგია და ეს შესანიშნავად გამოგდით. თქვენი ლექციები ხომ ყოველთვის ძალიან ინფორმაციული და განსაკუთრებული მუხტის მატარებელია. ეს უპირველესად განპირობებულია თქვენი უნარით, მიუდგეთ თითოეულ საკითხს უდიდესი პასუხისმგებლობით და იუმორით.

ძალიან გვიყვარხართ და ყველაზე, ყველაზე საყვარელი, კეთილი, თბილი, მეგობრული, ჩვენითვის პირველ რიგში საყვარელი ბაბუა და შემდეგ ლექტორი ხართ!..

თამარი საყვარელი
IV კურსი



ჭეშმარიტად სეზონური ის კაცი, ვინც ქვეყნის წინაშე კეთილ-სინდისიერად იხდის ვალს და მისი გავლილი გზაც მისივე ცხოვრებაში კეთილ კვალს ტოვებს. ასეთი ადამიანები თავიანთი ცხოვრების წესით მაგალითს აძლევენ სხვებს — ასე იწყება ნიგნის შესავალი, რომელიც ბატონ ჯემალ გახოკიძის მღვდლად, ხიფათით სახე საქმიანობას, მრავალწლოვან ცხოვრებას და მოღვაწეობას ეხება და რომელსაც ავტორ-შემდგენელმა „ბუნების ხილზე“ დაარქვა.

თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ ნიგნში, რომელიც ჯემალ გახოკიძის 60 წლისთავს მიეძღვნა, ძირითადად გადმოცემულია მის პიროვნულ პორტრეტთან დაკავშირებული ნარკვევები, ასევე სხვადასხვა დროს პრესის ფურცლებზე მის მიერ გამოქვეყნებული მასალები, მისი თანამებრძოლების აზრები და მათი შეფასებები, რასევე ქვემოთ უფრო დეტალური საუბარი გვექნება.

იმის მიუხედავად, რომ ბატონ ჯემალის მკითხველი ისედაც კარგად იცნობს, აღნიშნულით კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება ამ მართლაც ღირსეულ და კეთილშობილ პიროვნებაზე, შესანიშნავ მოქალაქეზე, მეტად განსწავლულ მეცნიერზე, საზოგადოებისათვის მაგალითის მიმცემ ადამიანზე და უღალატო მეგობარზე, დიდ მეოჯახეზე, ღირსეულ მამაზე და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალვებით მის მიმართ. ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

ნიგნის შემდგენელმა დასაწყისშივე ჯემალ გახოკიძის მონოლოგი შემოგვთავაზა, სადაც ის მის წარსულზე, განვილი გზებზე და დღემდე გატარებულ წლებზე გვესაუბრება.

მართლაც საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ჯემალ გახოკიძემ. დაიბადა და საშუალო განათლება მიიღო ქალაქ თბილისში. 1967 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და რეკომენდაცია მიეცა სწავლის ასპირანტურაში გასაგრძელებლად. თუმცა პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მიზნით 1972 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მივიდა გამომძიებლად.

1972-1979 წლებში მუშაობდა საგამომძიებო სამმართველოში ჯერ გამომძიებლად, ხოლო შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებლად, შემდეგ ამავე სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსის მოადგილე იყო.

1980-1981 წლებში სწავლობდა მოსკოვში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1983-85 წლებში მუშაობდა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამომძიებო განყოფილების უფროსად.

1985 წლიდან არის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე, საგამომძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, 1997-1998 წლებში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, 1999-2004 წლებში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, 2004-2005 წლებში — საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებაში, ხოლო 2004 წელს სადოქტორო დისერტაცია უკვე პოლიტიკის სფეროში. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო შრომა, 100-მდე საგაზეთო სტატია, არის სამი სახელმძღვანელოს ავტორი, კრიმინალისტიკის კურსის სახელმძღვანელოს თანაავტორი.

როგორც მეცნიერსა და მკვლევარს, მონაწილეობა აქვს მიღებული 30-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში, ასევე გავლილი

აქვს სპეციალური კურსები და ტრენინგები ტერორიზმის, ნარკოტიკების, კორუფციისა და სამართალდამცავი სისტემის რეფორმის ხაზით უცხოეთის ნამყვან ქვეყნებში.

სამართალდამცავ ორგანოებსა და უშიშროების სფეროში სამსახურის პარალელურად ჯემალ გახოკიძე წლების მანძილზე, კერძოდ 1989 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2004 წლიდან კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც იგი სისხლის სამართალს და სისხლის სამართლის პროცესს კითხულობს. არის ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

მას ძალიან მოწონს პედაგოგიური საქმიანობა და ახალგაზრდებს სიამოვნებით გადასცემს თავის ცოდნას, ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოცდილებას და აზიარებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანურ ფაქტორს, რომ სახელმწიფო შემ-

კიდევ სწორედ რომ ერთგულებითა და მამულის სიყვარულით მოქმედებდა. ჯიხაშკარშიც და ელიავას მიერ მოწყობილი ამბოხის დროს ის უპირველესად თავის ქვეყანას იცავდა.

ნიგნის შემდეგ თავში გადმოცემულია როგორც სხვების, ასევე თვით ჯემალ გახოკიძის მოგონებები გარდასულ დღეთა შესახებ. აქვეა სხვადასხვა დროს გაზეთებში გამოქვეყნებული მისი მეტად საინტერესო წერილები და ინტერვიუები სხვადასხვა თემებზე, სტატიები მისი ოჯახის, მეუღლის, შვილებისა და შვილშვილების შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მომენტები, სადაც ბატონი ჯემალი მადლიერებით იხსენებს მის უახლოეს მეგობრებს, მათთან გატარებულ საქმიან ურთიერთობებს და განვილი წლებს.

ძალიან შთამბეჭდავია ბატონ ჯემალის და მისი მეუღლის ქალბატონ ციცინოს მოკრძალებული წერილი ერის სულიერი წინამძღოლის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისადმი, რაც მკითხველში ამაღლებულ სულიერ გრძნობებს აღძრავს და რომელიც რა თქმა უნდა, გარკვეული ტკივილით, მაგრამ ძლიერი სულიერი განცდების გარეშე არ იკითხება.

ნიგნში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ბატონ ჯემალის ოჯახის ყველაზე დიდ ტკივილს, ამ ქვეყნიდან უღროდ წასული, 21 წლის შვილის გოგონას ტრაგიკულად დაღუპვას, რაც ნიგნში ჩანახატის სახით არის გადმოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ჯემალი და ქალბატონი ციცინო შვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამოწვეული დიდი ტკივილის მიუხედავად სასონარკვეთას არ მიეცნენ, ოცი წელია ამ ნუთისოფელში ტკივილთან და სიხარულთან ერთად ცხოვრობენ. აღნიშნული ნიგნი სწორედ გოგონას ნათელ სსოვნას ეძღვნება.

ნიგნის შემდეგ თავში ბატონი ჯემალი განსაკუთრებული სიყვარულით, სიამაყით და ღირსებით იხსენებს რაინდებს აუხდენელი ოცნების სამყაროდან — თავისი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო მეგობრებს, თანამოაზრეებს და თანამებრძოლებს: გენადი გიორგაძეს, გურამი ქარქაშაძეს, ნუგზარ საჯიას, შოთა მეგრელიშვილს, იური გაბისონიას, კარლო ზონენაშვილს და ნუგზარ გაბრიჩიძეს.


ნიგნის ბოლო თავში თავმოყრილია ბატონ ჯემალ გახოკიძის მიერ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მეტად საინტერესო პუბლიკაციები პოლიტიკისა და სამართლის პრობლემებზე. მათში მკითხველი თვალნათლივ დაინახავს ჯემალ გახოკიძის, როგორც იურისპრუდენციის შეყვარებული მკვლევარისა და მეცნიერის, საოცრად ნიჭიერი თეორეტიკოსის პროვნებას.

ნიგნის შესავალში თუ დავესხებებით, ამქვეყნად სამი კატეგორიის ადამიანები არსებობენ: ერთნი, რომელნიც საკუთარი თავისათვის, საკუთარი ოჯახისათვის ირჯებიან და სხვას არაფერს უშვებენ, მეორენი, რომლებიც საკუთარ თანამომემთა გასამწარებლად თუ ქვეყნის მავნებლებად არიან მოვლენილი და მესამენი — მთელი ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის სამსახურში დგანან, მათი სიკეთისათვის სი-

ველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისადმი, რაც მკითხველში ამაღლებულ სულიერ გრძნობებს აღძრავს და რომელიც რა თქმა უნდა, გარკვეული ტკივილით, მაგრამ ძლიერი სულიერი განცდების გარეშე არ იკითხება. ნიგნში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ბატონ ჯემალის ოჯახის ყველაზე დიდ ტკივილს, ამ ქვეყნიდან უღროდ წასული, 21 წლის შვილის გოგონას ტრაგიკულად დაღუპვას, რაც ნიგნში ჩანახატის სახით არის გადმოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ჯემალი და ქალბატონი ციცინო შვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამოწვეული დიდი ტკივილის მიუხედავად სასონარკვეთას არ მიეცნენ, ოცი წელია ამ ნუთისოფელში ტკივილთან და სიხარულთან ერთად ცხოვრობენ. აღნიშნული ნიგნი სწორედ გოგონას ნათელ სსოვნას ეძღვნება.

მართლაც, როცა 1998 წლის 9 თებერვლის (პრეზიდენტ ე. შვერდნაძეზე განხორციელებულ ტერაქტის), 19 თებერვლის (ქალაქ ზუგდიდში გაეროს დამკვირვებლების მძევლად აყვანის) და 19 ოქტომბრის (აკაკი ელიავას მიერ მოწყობილი ამბოხის) ფაქტებს ვიხსენებთ და ჯემალ გახოკიძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ვაანალიზებთ, ვრწმუნდებით იმაში, თუ როგორ ერთგულია ის თავისი ქვეყნის, როგორ უყვარს მას სამშობლო. იმ ბოზოქარ დღეებში ჯემალ გახო-

კაცურად გავლილი წლები



რამდენიმე სიტყვა ნიგნის შესახებ, რომელიც ყველა თაობის მკითხველს ჩააფიქრებს საკუთარ ქცევაზე, ჩაახედებს საკუთარ სულში და იქადაგებს მხოლოდ სიყვარულს დაუთმობს, რადგან სიყვარულია ყოველგვარი ბოროტებისა და მტრობის შემშუსვრელ-დამანგრეველი.

დაგრად მაშინ ითვლება, როცა თითოეული მოქალაქის უფლებები მაქსიმალურად არის დაცული, რომ ჩვენ ღირსებით სახე სამოქალაქო საზოგადოება გვჭირდება, რომელიც უკეთეს ქვეყანას ააშენებს და მთელი არსებით დაიხარება სამშობლოს სამსახურში.

ამჟამად ბატონი ჯემალი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის სპიკერია, რომლის მოვალეობის შესრულებას დიდი ენთუზიაზმით და პასუხისმგებლობით ეკიდება. ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ჯემალ გახოკიძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასალის მე-3 ხარისხის და ღირსების ორდენებით, ასევე სხვა სამთავრობო ჯილდოებით, მინიჭებული აქვს გენერალ-ლეიტენანტის წოდება..

ამ მშრალ ბიოგრაფიულ ცნობებში უდიდესი გარჯა, ცოდნის შექმნის სურვილი, თავისი საქმისადმი ერთგულება და დასახული მიზნისაკენ სწრაფვა ჩანს. თუმცა, ჩვენი საზოგადოებისათვის ისედაც კარგად არის ცნობილი მართლმსაჯულებისა და უშიშროების ხაზით ბატონ ჯემალის ფასდაუდებელი ღვაწლი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.

ნიგნში ერთი ადამიანის ბიოგრაფიით ქვეყნის ისტორიაა მოყოლილი. ბატონი ჯემალი მკითხველს ყველაფერს უყვება, რაც მის მეხსიერებას შემორჩა. ნიგნში ასახულია საქართველოს ისტორიის მეტად რთული პერიოდი, შიდა პოლიტიკისა და ქვეყნის უშიშროების საკითხები. ბატონ ჯემალის მონოლოგის შემდეგ, ნიგნში გადმოცემულია ძალიან საინტერესო მასალები ჯიხაშკარის ცნობილი მოვლენების, კერძოდ გორა-

ცოცხლესაც კი სწირავენ, ანუ „კაი ყმე-ბი“ არიან, როგორც მათ ვაჟა-ფშაველა უწოდებს.

სწორედ ასეთი ადამიანი ბატონი ჯემალი, რომელმაც ქვეყნის წინაშე კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი ვალი და მისმა გავლილმა გზამაც მის ცხოვრებაში კეთილი კვალი დატოვა, მისი ცხოვრების წესით მაგალითი მისცა სხვას.

ნიგნში გამოკვეთილად სჩანს ბატონ ჯემალის ყველაზე აშკარა, თვალშისაცემი ადამიანური თვისებები. ის ძალიან თბილი და ყურადღებიანი ადამიანია, შეუძლია კარგის დანახვა და მისი დაფასება, მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მთესველია, უსაზღვროდაა შეყვარებული იურისპრუდენციაზე, საოცრად ნიჭიერი თეორეტიკოსია და უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, არის უდიდესი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება.

ბატონ ჯემალის კიდევ ერთი გამორჩეული ადამიანური თვისებაა ის, რომ არ ივიწყებს გარდაცვლილ მეგობრებს, რომელთა მოგონებებს და სსოვნას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიგნში ცალკე თავი დაეთმო. ის თბილი და კეთილი სიტყვებით იხსენებს მათთან გატარებულ წლებს, სათუთად ეფერება მათ სსოვნას.

ამის სამაგალითოდ ერთი ფაქტის გახსენებაც საკმარისია, რაც ნიგნშიც არის მოყვანილი ჩვენი მეგობრის, პროფესორის მიხეილ მამნიშვილის წერილი. კერძოდ, ეს ეხება ამქვეყნიდან უღროდ წასული მისი მეგობრის, საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძის სსოვნის უკვდავსაყოფად ჯერ მისდამი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომების კრებულის, ხოლო შემდეგ მისი გარდაცვალების წლისთავზე გარდაცვლილი მეგობრის ნაშრომების კრებულის გამოქვეყნებას, რომლის მომზადებამ ძალიან დიდი წვლილი ბატონ ჯემალის ეკუთვნის. მისი ასეთი ადამიანური საქციელი მისაბაძია ყველა ადამიანისათვის.

მეც ბედნიერ ადამიანად ვთვლი ჩემს თავს, რომ როგორც საქმიანი, ისე ადამიანური ურთიერთობა მაქვს ისეთ შესანიშნავ ადამიანთან, განსწავლულ მეცნიერთან და მაღალი დონის პროფესიონალთან, უღალატო და ერთგულ მეგობართან, დიდ პიროვნებასთან, ღირსეულ ქართველთან, როგორც ჯემალ გახოკიძე გახლავთ.

მეც იმ უამრავ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც არაერთხელ უგვრძნიათ ბატონი ჯემალის ადამიანური თანადგომა, გულისხმიერება და დიდი ყურადღება, რის გამოც მას კიდევ ერთხელ ვუხედი დიდ მადლობას, ვუსთებავ პიროვნულ და ოჯახურ ბედნიერებას.

სწორედ ჯემალ გახოკიძის ეს თვისებები დაედო საფუძვლად ამ უპრეტენზიო ნიგნის შექმნას, რომელიც მნიშვნელოვანი შენაძნეა ქართველი მკითხველისათვის, ძალიან საინტერესო იკითხება და მიძღვნილია გონიერებით, შინაგანი ენერგიით და გამირობის ტოლფასი გამბედაობით გამორჩეული პიროვნებისადმი, რომელსაც უპირველეს მოვალეობად საქვეყნო საქმის კეთება მიაჩნდა, მიაჩნია და მომავალშიც ასე იქნება.

ნიგნს გარკვეულ დამბებით ეფექტს სძენს ჯემალ გახოკიძის ცხოვრების ამსახველი ფერადი ფოტოები, მაღალია ნიგნის პოლიგრაფიული გაფორმების დონე.

ბოლოს, მინდა მადლობა მოვახსენო ნიგნის იდენი ავტორს და მის შემდგენელს ჯემალ გაბელიას, ნიგნის რედაქტორებს ნანა ლომიას და ირაკლი გაბისონიას განუვლი შრომისათვის და მკითხველისათვის მეტად საინტერესო ნიგნის მიწოდებისათვის.

გივი აბაშიძე,
სამართლის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მურმან დავითაძე 70 წლისაა ცხოვრების დილა

წელიწადის დროთა შორის, ჭირნახულით ყველაზე მდიდარ-შემოდგომის პირველი თვის პირველ რიცხვში დაიბადა. 1943 წლის პირველ სექტემბერს დაიწყო ჩემი სიცოცხლის დილა. ცხოვრების ამ მონაკვეთში, მნიშვნელოვანი მშობლიურ სოფელ ტბეთის შეიღწილიან სკოლაში სწავლა. „პირველ კლასში მასწავლებლის მიერ შერქმეული სახელი, თითქმის ბოლომდე შემომრჩა, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოს მტრისა და შეყვარებულთა შორის ეკლად ამოსულის სახელს ვერასოდეს ვიტანდი. ღმერთმა მიშველა და სიბერისწინა ჟამს მირიანად მომნათლეს. ეს ისე უმნიშვნელო ჩართვა, თორემ ეთერ მასწავლებელმა მითხრა „შენზე ძლიერი მურმანის სახელი რომ არ დამერქვა, პროფესორი ვერ გამოხვიდლო.“

მერვე კლასიდან უჩაბის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ტბეთიდან სამოლეთის კონცხზე მდებარე სკოლაში აქეთ-იქით ქვისასროლიას და ქედრუნას აღმართებზე გავლით 9 კმ-ს დავდიოდი, ზოგჯერ თოვლით გადაბარდნულ მალარას, უხედავლეს და ქვაბთას ხეობებში ზვავი ჩამონევივოდა, სკოლაში ვერ მივდიოდი, გაკვეთილები გვიცდებოდა. ზამთარ-ზაფხულ მთის პირობებში, ტბეთიდან ქვისასროლია-კვირიაულის გავლით სამოლეთში სიარულმა შედეგი გამოიღო, 1959 წელს დავამთავრე ათწლედი. იამა (ზაქარეიშვილი) მასწავლებელს უნდა ვუმაღლოდ, რომ უმაღლეს სასწავლებელში, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების დარგი - ბიოლოგია ავირჩიე. ბოტანიკოსობა კი 2-3 მეტრიანი თოვლის



საბურველის აჭრელებისთანავე, ჩიკვეთსა და ზვარეს მშრალ, ქვალორიან მუხნარებში ბაბილოს (ფურისულას) და კვარაკუნხას (ყოჩივარდას) ყვავილებმა განაპირობეს. მცენარეებმა, რომლებიც სიცოცხლის გაღვიძების მასწავლებელი არიან ხანგრძლივი, ცივი, ყინვიანი ზამთრის შემდეგ. ბიოლოგიურზე სწავლის მეორე კურსზე, საკურსო თემაზე „ჩვენი მთის ადრე მოყვავილე მცენარეები“ შემირჩიეს.

დღეს, როდესაც ვიტყვით პირველადი, ხელუხლებელი ვარემო, ტბეთის მიდამოების ხუციარში შემორჩენილი უღრანი ნაძენარ-ნიფლნარი მარადმწვანე ქვეტყით რომა ის ნარმომიდგება. იშვიათია ამდაგვარი ადგილები არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მთელ დუნიაზე. ვერსად ვერ შეხვდებით ხელუხლებელ მცენარეულობას, ისეთს როგორც ჩემი სოფლის უძველესი, დაბურული ტყეებია. მათმა სიდიადემ და თვითმყოფადობამ, ჩემში უჩუმრად ინტერესის გრძობა გამოიწვია. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ კი საიდუმლოს შეცნობისაკენ მიბიძგა. ალბათ ამიტომაც, აღმოჩნდი, აჭარაში პირველ სამეცნიერო დაწესებულებაში - ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. აქაც ბედმა გამიღმა და ჩემი ცხოვრების შუადღეს, დამოუკიდებელი საქმიანობა, აჭარის ფლორის გამოჩენილ მკვლევართან,

„აჭარის ფლორის დიდწილად“ ნოდებულ ალექსანდრა დმიტრიევასთან მომიწია სამეცნიერო მუშაობა. მასთან ერთად მოვიარე აჭარის მთა და ბარი: მტირალა, ხინო, გომანი, ლომა, ჩირუხი, გოდერძი და სხვა; მდინარე კინტრძის, ჩაქვისწყლის, მაჭახელას, აკაერეთას (მერისწყლის), ჭვანისწყლის, სხალთის, უჩაბის და სხვათა ხეობები. გავეცანი ბუნების უნიკალური ქმნილების-მცენარეულობის შემქმნელი ცალკეული დაჯგუფებების: ჭაობის, ბუჩქნარის, ტყის, მდელის ადგილს და არსს, მათ მნიშვნელობას დედამიწაზე. განსაკუთრებით მათ როლს მთიანი ქვეყნების გარემოში, როგორც ჩვენი სამშობლოა. მცენარეულობა მთა-ბარის მწვანე სამკაულია, ჩვენი მარჩნალი და მფარველიცაა. ის შეუცვლელ მნიშვნელობას და სიდიადეს ბუნებაში ბევრჯერ მოვუხიბლივარ და გავუცვიფრებოვარ: სახალინსა და კურილიის კუნძულებზე, ციმბირის ტიაგაში და ბაიკალის-პირეთში, კოლის ნახევარკუნძულზე და კარპატებში, კავკასიის მთებსა და შავსუბთის ქედის მთაგრეხილებზე. იგი განუმეორებელ სილამაზეს ქმნის კოლხეთშიც. აჭარაში (სამხრეთ კოლხეთში) კიფლორის უძველესი რელიქტური სახეობებით შემქმნილი მცენარეული საფარი ბუნების უნიკალურ ქმნილებააა მიჩნეული. მის მდიდარ მრავალფეროვნებას ბევრი სტუმარი განუცვიფრებია, ჩემში კი სიამაყის გრძობა გაუღვიძებია და ბავშვობის დროინდელი განცდა გაუხსენებია.

მირიან (მურმან) დავითაძე

მურმან დავითაძე – სახელოვანი მეცნიერი და ბუნების ქომაგი

ჩვენი საზოგადოება სიყვარულით და მაღლიერებით აღნიშნავს ბოტანიკოსის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ-ემერიტუსის - მურმან დავითაძის დაბადებიდან 70 წლისთავს.

მურმან დავითაძე თავისი შემოქმედებით იმ იშვიათ პიროვნებად გვევლინება, რომელმაც ერთმანეთს ორიგინალურად შეუხამა ოჯახი, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

იგი 1968-1985 წლებში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, 1969 წელს მონაწილეობდა საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების მიერ შორეულ აღმოსავლეთში კუნძულ სახალინსა და კურილიის არქიპელაგის სამხრეთ (კუნაშირი, მიკოტანი, იტურეპი) კუნძულებზე მოწყობილ ექსპედიციაში. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის ასპირანტურა და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1985-89 წლებში საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განვითარების ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სექტორის გამგეა, იმავდროულად 1979 წლიდან კითხულობს ლექციებს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრაზე. 1980 წლიდან იგი ამავე კათედრის დოცენტია.

1988 წელს დაიცვა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი თემაზე „აჭარის ადვენტურ მცენარეთა ფლორისტიკული და ბიომორფოლოგიური ანალიზი“.

1995-2005 წლებში ხელმძღვანელობდა ბოტანიკის კათედრას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1999 წელს მ.დავითაძე აირჩიეს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 2006 წლიდან იგი ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორია. 2010 წელს მას მიენიჭა პროფესორ-ემერიტუსის საპატიო წოდება. მისი ხელმძღვანელობით მოხდა ბიოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი არა ერთი დისერტაციის მომზადება და წარმარებით დაცვა. მათ შორის აღსანიშნავია: „აჭარის მუხნარების სეზონური განვითარების რიტმი და ბიოეკოლოგია“, „მარადმწვანე ეგზოტურ მცენარეთა ბიოეკოლოგია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში“, „ვარდის (Rosa L.) ინტროდუქცია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში“. ამასთან, იგი მრავალი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელია. ის არის ჩართული უნივერსიტეტის სამეცნიერო თემატიკის შესრულებაში. ამჟამად არის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკის ძირითადი შემსრულებელი თემაზე: „ზღვისპირა აჭარის ადვენტური ფლორა“.

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და ათეულობით სამეცნიერო-პოპულარული წერილი. მათ შორისაა 7 მონოგრაფია, სახელმძღვანელო და მეთოდური მითითება. მათგან აღსანიშნავია: „აჭარის ადვენტური ფლორა“ (2001), „ადგილობრივი ფლორა“ (2000), „აჭარის ადვენტური ფლორის ბიომორფოლოგიური ანალიზი“ (2002), „ყვავილი თოვლში“ (2003), „მთის ძახილი“ (2010), პროფ. მ.დავითაძის სამეცნიერო შრომები ეხება მცენარეთა მორფოლოგიის, მათი თანამედროვე გავრცელების, აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. გამოკვლევების დიდი ნაწილი ეძღვნება სამხრეთ კოლხეთის — აჭარის ბუნების ღირსშესანიშნაობათა პოპულარიზაციას, მისი მდიდარი და უნიკალური მცენარეულობის გონივრულ გამოყენებასა და დაცვას.

სახელმძღვანელო ადგილობრივი ფლორაში შედგენილია ადგილობრივი ფლორის საგნის (ფლორისიკის) საუნივერსიტეტო პროგრამის შესაბამისად. წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს ფიტოგეოგრაფიული საკითხები, მისი ფლორისა და მცენარეული საფარის თავისებურებები, ბოტანიკურ-ისტორიული (ეთნოგრაფიული) რაიონების მიხედვით. განხილულია მცენარეულობის ვერტიკალური განაწილების თავისებურებანი. მოცემულია ფლორისტული კომპლექსების ტაქსონომიური, ბოტანიკურ გეოგრაფიული, ვერტიკალური გავრცელების ეკოტოპოლოგიური ანალიზი. ახსნილია საქართველოს ფლორის სიმდიდრისა და თვითმყოფადობის მიზეზები. განხილულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ფლორის თავისებურებები. იშვიათი, რელიქტური და ენდემური სახეობების თანამედროვე მდგომარეობა, მათი დაცვის ღონისძიებები.

სახელმძღვანელოში ყოველ თავს ერთ-ვის საჭირო ლიტერატურა. ბოლოს მოცემულია უცხო ტერიტორია განმარტებითი ლექსიკონი და ძირითადი ლიტერატურა. სახელმძღვანელო შედგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე და ძირითადად განკუთვნილია უნივერსიტეტის ბიოლოგიის

სპეციალობის სტუდენტებისათვის.

მონოგრაფიაში - აჭარის ადვენტური ფლორა - განხილულია საქართველოში ადვენტური სახეობებით ყველაზე მდიდარი ბოტანიკურ-ისტორიული მხარის - აჭარის ადვენტური ფლორის ჩამოყალიბების ისტორია, მისი სისტემატიკური სტრუქტურა, უცხო მცენარეთა სამხრეთ-კოლხეთში მიგრაციის გზები და საშუალებები. ამ უკანასკნელზე, ამასთანავე შემოჭრის დროსა და ნატურალიზაციის დონეზე დაყრდნობით მოცემულია ადვენტურ მცენარეთა კლასიფიკაცია. გაანალიზებულია თითოეული სახეობის გეოგრაფიული წარმოშობა, მათი აჭარაში გავრცელება და აბორიგენულ მცენარეულობაში ინვაზიის თავისებურებანი.

ამასთან ერთად ნაშრომი ფლორის კონსპექტიცაა, სადაც თითოეულ სახეობაზე მითითებულია სასიცოცხლო ფორმა, გავრცელების თავდაპირველი არეალი, აჭარაში გამოჩენის დრო და თანამედროვე განსახლება.

კრებულში - ყვავილი თოვლში - დაბეჭდილია ის სტატიები და წერილები, რომლებიც უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში იბეჭდებოდა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში. ისინი ძირითადად ჩვენი ბუნების მშვენიერების - ფლორისა და მცენარეულობის უნიკალურობის წარმოჩენასა და დაცვას ეძღვნება და რადგანაც მათი უმეტესობა ეკოლოგიურ განათლებას შეეხება, ამიტომ დღესაც აქტუალურია და არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

კრებულში - მთის ძახილი - წიგნში წარმოდგენილი სტატიები, წერილები და მოგონებებში, გადმოცემულია ბოსფორის უმნიშვნელოვანესი ბიოკომპონენტის - მთისა და ბარის მცენარეულობის მნიშვნელობასა და სილამაზეზე. მისი მრავალფეროვნების შენარჩუნების და დაცვის აუცილებლობაზე. მოთხრობილია ტბეთის ბუნებაზე, ტოპონიმთა და მოსახლეობაზე; მთის მცენარეულობის მოჭრნეობით სარგებლობაზე. აღწერილია ბათუმის სანაპიროს ადრეული და თანამედროვე განაშენიანება.

ვულცავთ ბატონ მურმანს სახელოვანი იუბილეს და ვუსურვებთ, კვლავაც ჩვეული ენერგიით დიდხანს იღვანოს თავისი, ცნობისმოყვარეობით - მშობლიური ბუნების უსაზღვრო საიდუმლოების შეცნობისა და ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნ. პარმანიძე ასისტენტ პროფესორი ი. დიხაშვილი

მეცნიერების დღესასწაულის აღსანიშნავად და ჯურორატების დაჯარაჯარების წარმომადგენელთა

ტურიზმის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და ტურიზმის ფაკულტეტის



სტუდენტების შეხვედრა. დეპარტამენტის თავმჯდომარემ დემურ დიასამიძემ ახალგაზრდებს ტურიზმის პოლიტიკა, განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები გააცნო და რეგიონის სარეკლამო-საინფორმაციო მასალები წარუდგინა. დაიგეგმა ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა და უწყების ხელმძღვანელმა მომავალი კოლეგების აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა.

ბათუმის პროექტი „სტუდენტთა ხარისხის განვითარების ცენტრის შექმნა საქართველოში“

ტემპუსის პროექტის „სტუდენტთა კარიერის განვითარების ცენტრის შექმნა საქართველოში“ ფარგლებში სემინარი გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროექტის კოორდინატორმა, დოქტორმა იოლანტა ვაჩიანიშვილმა (ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიტვა), ექსპერტებმა: ჯილიან დევისმა (ესექსის უნივერსიტეტი,



ტი, დიდი ბრიტანეთი), მონიკა ანდრასიმ (კორინთის უნივერსიტეტი, უნგრეთი) და პროფესორმა ჩაბა ფორგასმა (კორინთის უნივერსიტეტი, უნგრეთი) მოხსენებები წაიკითხეს კარიერული განვითარების სერვისის შექმნის, განვითარებისა და დანერგვის შესახებ. მომხსენებლებმა პროექტის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად ასევე განიხილეს დამსაქმებელთა ურთიერთობის, დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან უწყვეტი კავშირის შენარჩუნებისა და დამსაქმებელთა ფორუმის ორგანიზების საკითხები.



შავშეთში პირველად 2005 წელს მოგზავნილი იქნა კომპლექსური ექსპედიციის წევრები ვიყავით, რომელსაც მამია ფალავა ხელმძღვანელობდა. პირველი ქართული სოფელი, რომელსაც მამინ ვნახეთ, ბაზირეთი გახლდათ. ბაზირეთი განსაკუთრებული ხიბლის სოფელია. ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს XIX საუკუნის აჭარულ სოფელში დავაბრუნდით. როცა „შავშური ჩანანერები“ წავიკითხეთ, დასანყისძივით სწორედ იმ 2005 წლის ასეთ შთაბეჭდილებას წავახსენებ: „გულთ გვიმასპინძლა ბაზირეთში... გულის კარიც გავიღეს და სულ რამდენიმე საათში შეგვაცვარეს საზღირეთი თუ საკუპრია, სახაზვი თუ ჯანჯირი, ქვაკიბე თუ კურტუკლი სერი... ისიც გაგვიხილეს, რომ ბაზირეთში ავგის-ტომიც მოსულა თოვლი და შაირიც მოაყოლეს: „ბაზირეთი ვის უქია, მარძობისთვეში უბუქია...“

ჩვენი ემოციაცაა ეს, ჩვენი განწყობაც, ისევე, როგორც ჩვენი ექსპედიციის ნებისმიერი წევრისა: „შავშური ჩანანერები“ ხომ ჩვენს გვერდით, ჩვენი თანდასწრებით იწერებოდა. აქ მოთხრობილი ბევრი ამბავი ჩვენი ყურითაც გავიხილეთ. ამიტომაცაა ძვირფასი და ღირსშესანიშნავი. მაგრამ ღირსშესანიშნავი არა მხოლოდ ჩვენთვის. იგი სხვა, „უცხო“ მკითხველისთვის კიდევ უფრო მეტი ინტერესის აღმძვრელი უნდა იყოს. ჩვენ კი, რა გასაკვირია და, გავაჩნია როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური დამოკიდებულება, ამასთან ვფიქრობთ, რომ ეს კარგი ნიგნი ერთგვარად ჩრდილში მოექცა: დაიბეჭდა, ვიღაცამ წაიკითხა და ავტორს შეეხიანა ან ემგობართა წრეში გამოხატა დამოკიდებულება, ვიღაცამ ვერ წაიკითხა და... სწორედ „ვერ წაიკითხა“ უნდა შეეჩერდეთ. წიგნზე მითითებული არაა, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ სულ რაღაც 150 ეგზემპლარი დაიბეჭდა. ეს რომ დაღვინილი ცხოვრების შედეგი არაა, ცხადია, მაგრამ „შავშური ჩანანერებზე“ საუბარი სწორედ ამ „ნაკლით“ უნდა დავიწყოთ: ტირაჟი მცირე... ტაო-კლარჯეთზე დღეს უამრავი ავი თუ კარგი მასალა არსებობს. ბევრი მათგანი იმსახურებს მკითხველის ყურადღებას. მიუხედავად ამისა საზოგადოებისთვის პოპულარულ ენაზე დაწერილი ნიგნები არც თუ ისე ბევრია. „შავშური ჩანანერების“ სტრუქტურასა და შინაარსს ქვემოთ ფართოდ შევხებით, მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთის მიმართ საზოგადოდ არსებული განსაკუთრებული ინტერესის გამო ჰყავს მას მკითხველი და კიდევ უფრო მეტი ეყობა, რომ არა შეზღუდული ტირაჟი.

ვინც ასე თუ ისე იცნობს მამია ფალავას სამეცნიერო საქმიანობას, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ „შავშური ჩანანერებზე“ საუბარი შეუძლებელია გასულ წელს დაბეჭდილი ვრცელი მონოგრაფიის „შავშეთის“ გარეშე. მონოგრაფია, როგორც ცნობილია, შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო გრანტის ფარგლებში. მას თერთმეტი ავტორი ჰყავს, ხოლო გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მამია ფალავა გახლდათ და თავადვე მონოგრაფიის რედაქტორი. გვინდა ვთქვათ, რომ ეს ორი ნიგნი ერთგვარ გარემოებათა პირმშოა, საქმიანობის ერთი მიმართულების ორი შტო.

კიდევ ერთი წინასწარი მოსაზრება ავტორის მიზანდასახულობას, საკუთარი ნაშრომის მიმართ დამოკიდებულებას, პოზიციას ეხება. შესავალში იგი წერს: „ვცდილობდი, ყველაფერი პირველი ნახვის შთაბეჭდილებაში მყოფს დამენერა და არა დამშვიდებულს, ცივი გონებით... ვფიქრობდი, ასე უფრო მოვახერხებდი მკითხველთან დიალოგს...“ მკითხველთან დიალოგი ნამდვილად შედგა. ემოცია დიანაც თანამდევია ამ ნიგნისა. ამაზე ქვემოთ არაერთხელ მოგვიხსენებია მინიშნება. ამჯერად ერთ გარემოებას მივაპყრობ მხოლოდ ყურადღებას: ქრონოლოგიურად პირველ ჩანანერში

(„მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანანერები“) ემოცია სჭარბობს. ნერვების ტოკვა უფროა ეს ფრაგმენტი (ნაცნობი გრძნობა და განწყობა უნდა იყოს ყველა ქართველისთვის, ვისაც ჭოროხის აუზი დაუვლია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც პირველად ხედავს იქ). მერე და მერე უფრო მშვიდდება ემოცია. ცხადია, არ ქრება, მაგრამ ის პირველი მაინც სხვა სინჯის და სხვა ხარისხისაა. ტკივილი ინვეს ამ ემოციას. ის ტკივილი, საქართველო რომ ჰქვია...

ორიოდ სიტყვით შეეჩერდებით „შავშური ჩანანერების“ სტრუქტურაზე. ნაშრომი დაყოფილია ცალკეულ ნაწილებად აქ აღწერილი ექსპედიციების თუ მოგზაურობათა კვალობაზე.

მამია ფალავას „შავშური ჩანანერები“

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული თავი ერთი კონკრეტულად აღებული ექსპედიციის დღიურია. თუმცა, აქაც საჭიროა დაზუსტება: ნიგნის კომპოზიცია გულისხმობს ჩანანერებსაც — ერთგვარ ავტონომიურ ქვეთავებს, რომელთა შინაარსი სცილდება ერთი ექსპედიციის ფარგლებს.

ფორმალურად ნიგნი სამი ჩანანერისაგან შედგება. თითოეული ჩანანერი დაყოფილია ქვეთავებად — ექსპედიციის მარშრუტისა თუ განსახილველი საკითხის შესაბამისად. ბოლო თავია „განსჯა“, რომელშიც განზოგადებულია სამეცნიერო მასალა და მოცემულია დასკვნები. ნიგნს დაერთვის ციტირებული ლიტერატურის სია და შემოკლებათა განმარტება.

პირველი ჩანანერის საფუძველი 2005 წლის ზაფხულის ექსპედიციაა. ეს იყო პირველი კომპლექსური ექსპედიცია შავშეთში, რომელმაც იმჟამინდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევით ცენტრში დამკვიდრა ახალი ფორმატი ჭოროხის აუზის „ქვეყნების“ კვლევისა და ამ ფორმას, ამ იდეას სათავე სწორედ „შავშური ჩანანერების“ ავტორმა დაუდო.

ამავე **პირველი ჩანანერის**, როგორც ზემოთ მივითითებდი, ავტონომიური ნაწილია **მოგზაურობა ტაო-კლარჯეთის სავანეებში**, რომელსაც ავტორი ექსკურსიას უწოდებს. შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ჩვენ მაინც დავაზუსტებთ — ეს უფრო მომავალ მიზანთა ფარგლების მონიშნავა იყო და ამის დასტური სწორედ შემდგომი საქმიანობა გახლავთ.

მეორე ჩანანერში ასახულია 2009 წლის შავშეთის ექსპედიცია, აგრეთვე მოცემულია კლარჯეთის, ტაოსა და სპერის ექსპედიციის მასალები, ამ ჩანანერის შინაარსიც სცილდება შავშეთის ფარგლებს და გარკვეული „ავტონომიურობით“ ხასიათდება. კერძოდ, ესენია:

1. კლარჯეთის წმინდა სავანეებში,
2. ტაოსა და სპერში,
3. ტაოს მექართულ სოფლები,
4. მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანანერები.

ეს უკანასკნელი ჩანანერი უფრო ძველ, ჩვიდმეტი წლის წინანდელ, 1995 წლის ტაოს ექსპედიციას აღწერს. მოცემული ნაწილის შეტანა ნიგნში იმ თვალსაზრისითაც ჰმატებს ღირსებას ნაშრომს, რომ მკითხველს გარკვეული დროის მონაკვეთში არსებულ ვითარებაზე დაკვირვების საშუალება ეძლევა.

მესამე ჩანანერი 2010 წლის ოქტომბრის ექსპედიციის აღწერაა. აქვე ჩართულია ზოგიერთი მასალა 2010 წლისავე ზაფხულის კლარჯეთის ექსპედიციისა.

ნიგნი, როგორც ვთქვით, სრულ-


დება „განსჯით“ და აქ ასახულია არა მხოლოდ ექსპედიციების, არამედ მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევის შედეგები.

ამდენად, ქრონოლოგიურად თუ დავალაგებთ ნაშრომში ასახულ ექსპედიციებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

- 1995 წელი — ექსპედიცია ტაოში.
- 2005 წელი — ა) შავშეთის ექსპედიცია ბ) ტაო-კლარჯეთის სავანეები.
- 2009 წელი — ა) შავშეთის ექსპედიცია ბ) ექსპედიცია კლარჯეთში გ) დაზვერვითი ექსპედიცია ტაოსა და სპერში
- 2010 წელი — ა) ზაფხული — ექსპედიციები ტაოსა (პარხლისწყლის ხეობა) და კლარჯეთში (ფორთა და კარჩხლის ხეობა)

თორემ ვინ იცის, დევსქელში ასულე-ბი რამდენად მოგაზერებდით დროულ რეაგირებას.

როგორც ვხედავთ, ექსპედიციათა ჩამონათვალი საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათი ორგანიზება არ იყო მარტივი — უპირატესად ვგულისხმობ დაფინანსებას, ხან ინდივიდუალური, ხანაც კოლექტიური ძალისხმევის ნაყოფს. გასაჭირი ბევრჯერ დავდგომია, მაგრამ მუდამ ვცდილობდი საქმე გვეკეთებინა — ხან გავგვიღოდა თხოვნა, ხან — არა... 2005 წლისა და 2007 წლის (კლარჯეთის ნაწილი) ექსპედიციები უნივერსიტეტმა დააფინანსა. 2009 და 2010 წლის შემოდგომის ექსპედიციები რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგ-



ლებში დაფინანსდა. 2009 წლის ექსპედიციის ტაოსა და სპერის ნაწილი, ასევე 2010 წლის ზაფხულის ტაოსა და კლარჯეთის, 2011 წლის შავშეთ-კლარჯეთის ექსპედიცია ისევ უნივერსიტეტმა დააფინანსა, ოღონდ ამჯერად მოსამზადებელი ცენტრის ხაზით. 2007 წლის ლაზეთის, ასევე ტაოსა და სპერის ექსპედიცია ბათუმის მერის დამსახურებაა. მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველას. იმედი მაქვს, თანამდგომნი მომავალში გვეყოლება — უნივერსიტეტში თუ მის ფარგლებს გარეთ, მთავარი მაინც მიზანი და საქმეა: ამ ექსპედიციების, წლების განმავლობაში მიმდინარე კვლევა-ძიების შედეგად დაგროვდა მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება ჭოროხის ქვეყნების კვლევისათვის. ეს გამოცდილება ქვეყნის გამოადგება უპირველესად და ამიტომ ვართ დარწმუნებული, მხარში ამომდგომი მომავალშიც რომ არაერთი იქნება — აქ მხოლოდ „შავშური ჩანანერების“ ავტორს როდი ვგულისხმობთ: საკვლევი და საძიებელი იმდენია ტაო-კლარჯეთში, რომ მას ვერ გასწვდება ვერც ერთი კაცი და ვერც ერთი ჯგუფი. მეტიც, არათუ ჩვენი თაობას, მომავალ თაობებსაც არ გამოეღევათ საქმე და გასაკვირი არაა, რომ არაერთი ჩვენი კოლეგა ნაყოფიერად მუშაობს ამ პრობლემებზე და რომ ჩვენი უნივერსიტეტი მიისწრაფვის, კვლევის ეს მიმართულება აქციოს ერთ-ერთ პრიორიტეტად!

მივუბრუნდეთ „შავშური ჩანანერებს“. ზემოთ აღინიშნა, რომ ავტორი ნიგნის ერთ ფრაგმენტს „მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანანერებს“ უწოდებს.

ამით უთუოდ ამ ფრაგმენტისა და საზოგადოდ ნიგნისთვის თანამდევნი ემოციის ხაზგასმა სურს. სინამდვილეში „შავშური ჩანანერები“ ოდენ გამგელების შთაბეჭდილებებზე აგებული ნიგნი როდია. ეს მეცნიერის ჩანანერებია და შესაბამისად, სცილდება საზოგადოებრივი ტრადიციულ ჩარჩოებს. ერთმანეთს ენაცვლება ერთი მხრივ თვალ და გულმოთხივლი მოგზაურის თანმომდევრული აღწერა თუ თხრობა, ხან მშვიდი, ხანაც, დანახულის და გაგონილის შინაარსიდან გამომდინარე — ემოციით გაჯერებული, მეორე მხრივ კი მეცნიერის ობიექტური და კარგა... მათ კედლებთან არაერთს უსახელებია თავი და ქვეყანაც და საფლავიც იქვე უნახავს. მათი სახელები იცის ამ ციხემ, სათითაოდ ახსოვს ყველა; რა დაავიწყებს, ისინი ხომ მის კედლებთან გაიზარდნენ, აქვე დავაჟსაცდნენ, აქ ისწავლეს ხმლის აღესვაცა და ხმარებაც, გაუშვებია და სამხედრო წყობაც. მან ჩაუნერგა ბიჭებს სპერის მდინარის, ჭოროხის სიყვარული, და იმ ქვეყნისაც, საითკენაც მიეღინებოდა დედა მდინარე...“

აქ ოხვრასთან ერთად ემოციაც საგრძნობია. კიდევ უფრო თუ დავაკონკრეტებთ, ნიგნში პატიოსანი მოგზაურის გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით მოთხრობილია, კვალიფიციური მეცნიერის პროფესიონალიზმით განსჯილია ჭოროხის „ქვეყნების“ წარსულისა თუ თანამედროვეობის არაერთი ფაქტისა და მოვლენის შესახებ.

თავდაპირველად სწორედ სამეცნიერო ნაწილს უნდა შევხებით. მოკლედ, გაკვრით, თორემ ნიგნის სამეცნიერო შრის ბევრით ანალიზს მეტად დიდი დრო და ადგილი დასჭირდება, იმიტომ, რომ აქ განხილულია ქართველობის არაერთი საჭირობოტო საკითხი: ნიგნის ავტორის ინტერესები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. იგი გულდაგულ, ძირისძირამდე ჩასდევს „პარებს“ ფუძის ეტიმოლოგიას თუ ჩვენებურთა ქართულის ფონეტიკურ თავისებურებებს, „წევთის“ ისტორიას და ტოპონიმის რაობას თუ ხანძისისა და შატბერდის ლოკალიზაციას პრობლემას, „გურჯი ვაიზის“ სევიანი ინტონაციის თუ თურქული ისტორიოგრაფიის სუბიექტივიზმს.

მამია ფალავა უპირველესად ენათმეცნიერია. ამიტომ ბუნებრივია, რომ „შავშური ჩანანერების“ არაერთ ფრაგმენტში ვხვდებით შავშური დიალექტის და საზოგადოდ, სამხრული მეტყველების ანალიზს. ამ საკითხებში „ჩალმავებს“ აქ არ ვაპირებთ, მითუმეტეს, რომ ზემოხსენებულ მონოგრაფიაში („შავშეთი“) შავშური კილოს ვრცელი გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი სწორედ მამია ფალავაა. ამჯერად შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი ლინგვისტების საქმიანობა, თურქეთის საქართველოში სამხრული დიალექტების შესწავლის პროცესი, მაგონებს იმ მეცნიერის მუშაობას, რომელიც პალიმფსესტების ძველი ფენების ამოკითხვას ცდილობს. პალიმფსესტი, მოგვსენება, ხელნაწერი, ძირითადად, ეტრატზე შესრულებული, რომელზედაც ძველი ტექსტი გადაფხეკილია და ახალი დანერვილი. მართალია ძალიან ძნელად, მაგრამ თანამედროვე პალეოგრაფიის მიღწევები იძლევა ასეთ ეტრატზე არსებული ნინა ტექსტების ნაკითხვის შესაძლებლობას.

თანამედროვე ენათმეცნიერთა მუშაობა — ტაოურ, კლარჯულ თუ შავშურ დიალექტებზე დაკვირვება



ეგ არის: თურქულმა უდიდესი გავლენა მოახდინა აქაურთა მეტყველებაზე. გავლენა შეეხო უპირველესად ლექსიკას. ფონეტიკას და გრამატიკას — ნაკლებად, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინტონაციასაც და დიქციასაც.

თანამედროვე ენათმეცნიერმა ეს შემდგომში შეძენილი თავისებურებები როგორმე, შეძლებისდაგვარად, უნდა მოაშოროს ჩვენებურთა ქართულს და თავდაპირველ მეტყველებამდე უნდა დავიდეს, ანუ „ძველი ფენა“, „ძველი ტექსტები“ უნდა ნაიკითხს.

იდეალური სიზუსტით ამის გაკეთება შეუძლებელია, ამიტომაც არის ენათმეცნიერთა მუშაობა ძნელი და პატივსაცემი.

მაგრამ „შავშური ჩანაწერების“ მეცნიერული ხიბლი ენათმეცნიერებით როდი შემოიფარგლება. ავტორი ხან ეთნოგრაფის დაკვირვებულ თვალს გაადევნებს შავშელთა თანამედროვე ყოფის დეტალებს (მაგალითად, ასე: „ბაზგიერთში და არამარტო აქ, მოშლილია ქართული ტრადიციული მუხრანობა, აქ აღარ მისდევენ მემინდერობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუხილოებს და მუხანჩეობას. გადაწელების გზაზე ხორბლისა და ხეხილის ენდემური ჯიშები... თავისთავად იშლება ქართული ყოფა...), ხან კიდევ ისტორიკოსის გულმოდგინებით უღრმავდება წარსულისა და თანამედროვეობის ფაქტებს. (მაგალითად, ასე: „...თუ გავითვალისწინებთ ტბეთის მდებარეობას, უწინდელ გზებს, ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობას, შეიძლება დაუშვათ, რომ აწინდელი სათლელის ციხე უწინდელი „ციხე სუეტისა“, რომელიც, მემბატინის ცნობით, მტევანშია უკოპოსმა საბამ ააგო...“)

ამ ყველაფერზე მეტსმეტად მოკლედ ვსაუბრობთ, ვცდილობთ, სიტყვა არ გავვიგრძელებდეს, გასაგებია, რომ ერთი სტატიის თუ მოხსენების ფარგლებში ყველა სამეცნიერო „ძარღვის“ განხილვა შეუძლებელია, მაგრამ ერთ საკითხზე მინც უფრო დანერგებით უნდა შევჩერდეთ. კერძოდ, ხანძთანზე.

ნიკო მარიდან და პავლე ინგოროყვადან მოცულებული ხანძთის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით დღემდე ორი ძირითადი ვერსია არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი, უპირატესად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ანალიზის, აგრეთვე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მდინარე კარჩხალას ხეობაში მდებარე ნუკა-საყდრის სახელით ცნობილი ეკლესია არის სწორედ ხანძთა. სხვანი არანაკლები დამაჯერებლობით ასაბუთებენ, რომ X საუკუნის დასაწყისში აგებული „ახალი და შუენიერი“ ეკლესია ხანძთის არის ქვემო ფორთაში მდებარე დიდი უსახელო სამონასტრო კომპლექსი;

ხანძთის ნუკა-საყდართან გაიგივების ვერსიას სათავე დაუდო ნიკო მარმა XX საუკუნის დასაწყისში. ამავე საუკუნის 50-იან წლებამდე ეს მოსაზრება სავსებით მისაღები იყო სამეცნიერო წრეებისთვის. სწავლულთა აზრები მას შემდეგ გაიყო, რაც პავლე ინგოროყვამ ქვემო ფორთის უსახელო საყანე (რომელიც ნიკო მარს შატბერდი ეწოდა) მიიჩნია ხანძთად.

მას შემდეგ ხანძთის ლოკალიზაციასთან დაკავშირებულ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა მოსაზრებები სწორედ ამ ორ საყანეს უკავშირდება. პავლე ინგოროყვას ვერსიას უკანასკნელ პერიოდში მხარი დაუჭირეს და ახალი არგუმენტებით განამტკიცეს ვახტანგ ჯობაძემ, დავით ხომჭარიაძემ, დარეჯან კლდიაშვილმა და სხვებმა. ხანძთის ადგილმდებარეობის თავდაპირველ, მარისულ ვერსიას კი მხარი დაუჭირა მამია ფალავამ, რომელიც ამ თემას ფართოდ განიხილავს „შავშურ ჩანაწერებში“ (პირველი წერილი ამ პრობლემის თაობაზე დაბეჭდა 2007 წელს): გიორგი მერჩულეს ტექსტის ანალიზის და ნუკა-საყდრის მიდამოების შესწავლის საფუძველზე ახალი სიცოცხლეს ანიჭებს თითქოს მივიწყებულ თვალსაზრისს.

ჩვენ „ჩანაწერებში“ აღწუსებული ყველა ექსპედიციის მონაწილენი ვართ (გარდა 1995 წლის ტაოს ექსპედიციისა), ასე თუ ისე ვიცნობთ „ათორმეტ საყანეთა“ მხარეს, ნაბიჯ-ნაბიჯ დავლილი გვაქვს ფორთას და ნუკას შემოგარენი, იქ არსებული „ფიცხელი კლდეები“, ამიტომ სავსებით ბუნებრივად და მისაღებად მიგვაჩნია, რომ მამია ფალავა მიუბრუნდა თითქოს უკვე მივიწყებულ პრობლემას, შეიძლება ითქვას, რომ განაახლა ნიკო მარის — ხანძთელის ნაკვალევის მაძიებელი მეცნიერის გზა და საზოგადოების ყურადღება საყანებით დასაბუთებულად ისევ მიაპყრო, მდინარე კარჩხალას ხეობაში მდებარე ნუკას საყდრისკენ.

საკითხის კვლევის ამჟამინდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ სცემს პასუხს ყველა კითხვას. ვინ იცის, იქნებ ოდესმე მისაწვდომი გახდეს ზემოხსენებული საყანეების არქეოლოგიური კვლევა, ამასთან, შესაძლოა თურქეთის საცავებში მიკვლეული იქნას პირდაპირი მტკიცებულებები შემცველი დოკუმენტები.

ასეა თუ ისე, როგორც ერთი, ისევე მეორე სავანე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. გავიხსენოთ, რომ ქვემო ფორთის ეკლესიას ჩვენს დროში, სულ ახლახან (2007 წლის დეკემბერში) ჩამოენგრა გუმბათი. დარჩენილი ნაწილებიც სავალალო დღეშია და ეს უბედურება მხოლოდ ზემოხსენებულ ძეგლებს როდი სჭირთ. სამეცნიერო კვლევა-ძიება დიახა სამური საქმეა, მაგრამ რეალობის შეცვლა ამას ნაკლებად შეუძლია. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ მეცნიერთა და ენთუზიასტთა ძალისხმევამ შეძლოს ამ ძეგლებზე ყურადღების კონცენტრირება და გადარჩენა იმისა, რისი გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

სამეცნიერო ხაზი „შავშური ჩანაწერების“ მხოლოდ ერთი არსებითი ნაწილია. ბუნებრივია, გაცილებით მეტი ადგილი აღწერასა და თხრობას ეთმობა. მამია ფალავა შესანიშნავი მთხრობელია და ამ თხრობის რამდენიმე ასპექტს მინდა შევეხოთ. ავტორი ახერხებს უცხო ქვეყანაში განცდილი, ნაწახი თუ გაგონილი უამრავი ფაქტისაგან აარჩიოს ღირებული და ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ყოფითი ფაქტით შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე. ამის დასტურად ერთ რიგით ეპიზოდს მოვიყვან, რომელიც არა იმდენად საკუთრივ შავშეთს, არამედ ექსპედიციის წევრთა კეთილსინდისიერებას ეხება:

* * *

„საუზმის შემდეგ ვალუტის გასაცვლელად წავიდეთ. 400 დოლარი გადავცვალეთ თურქულ ლირაზე. 530 ლირის ნაცვლად კარგა ხნის ანგარიშის შემდეგ 750 ლირა მოგვთვალა გადამცვლელმა. ზედმეტი უკან დაუბრუნეთ. გაუკვირდა „ვალუტჩიკს“. გახარებულმა დაიბრუნა თავისი კუთვნილი. უკვირდა თურქს, მაგრამ არ გვიკვირდა ჩვენ... ზაზამ დაიჭირა თურქის, შეიძლება გააუქმებინოს შავშისაც, დაბნეულობა და ნაიტრახა: ასე ვიცითო ქართველებმა...“

კარგად მოვიქეცი. ღირდა 220 ლარად ჩვენი გალალბა. სიტყვამ მოიტანა და ექსპედიციის წევრებთან, ანუ მეგობრებთან, კოლეგებთან დამოკიდებულება არა მხოლოდ ამ ეპიზოდით მყდარდებოდა. შიგადაშიგ ავტორი ვრცელი მონოლოგებით თუ, უფრო მეტად, მოკლე ფრაზებით, ხშირად თბილი იუმორითაც, ეხება მათს პროფესიულ თუ არაპროფესიულ საქმიანობას, თვისებებს, უშურველად გასცემს სიტყვას. დასტურად მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს მოვიხმობ ნივნიდან:

„მერმ დღეს კიდევ ერთხელ დავგიმტკიცე, რომ მტკიცედ დგას. ხევწერილიდან მომავლები მდინარის პირას გაეჭრდით სასადლოდ. ციკაბო ბილიკი იყო ჩასავლელი. მერმ ვაჯაკურად დაძლია დაბრკოლება გზიდან მდინარემდე და მდინარედან გზამდე“ (ვინც არ იცის, იმათ გასაგონად ვიტყვი, რომ მერი ცინცაქზე — ექსპედიციის ოთხმოცნულსამკაუნებულ წევრზეა საუბარი).

„ყველამ მოვსინჯეთ თირიფანი. არცთუ ილი საქმეა. თამაზი და ნუგზარი კარგად ახერხებენ. რამაზმა ციხის თიბეა კარგად, მაგრამ ახლოსაც არ გაკარებია ცელს, ბავშვობიდან მეჯავრებოა...“

„თინამ აიყოლია ბებია და შვილიშვილი თანრივერდები, რომელთაც ქართული სიმღერა ნამოიწყეს თურქულ კილოზე...“

„ხმამალა ფიქრობენ ბიჭები, გაამაყებული დადიან ტაძრის წმიდა ეზოში და უხარიათ. რა უხარიათ, არც თავად იციან, უბრალოდ, უხარიათ, რომ აქ არიან და განიცდიან ამ მშვენიერებას...“

„შოთა მამულაქე შემთხვევას არ უშვებს ხელიდან და აჭარამი გადაამავალ გზებს კითხულობს...“

„ზაზა სადღეგრძელოებს ამბობს, მაგრამ არ სვამს. ოსმანი აძლევს, დალიე, კარგიაო.“

— რა დღე დამიდა, მე ღვინოზე უარს ვამბობ და „ზაზგიროლი ოსმანამ“ მაძალბესო, — ამოიხირო ზაზამ...“

„მალხაზი დარდობს, დარდობს ბებერ პარხალს და აქვს კიდევ სადარდებელი...“

ეს ჩვენო ფრაგმენტები იმიტომ მოვიტოვეთ ბოლოს, რომ ჩვენცა გვაქვს ერთი ჩანაწერი მამიასათვის. იმ ბილულ ჯემალს ეხება — „რემეზანში ვერ ვმარხულობ, გარეულს ღორის ხორცსაც ვჭამ შიგადაშიგ, ღვინოსაც ვსვამ ხოლმე და ჯენნეთში მოხვედრის შანსი თუ დამრჩაო“ — ამის დაზუსტებას რომ ცდილობდა ყოვლისმცოდნე პროფესორებთან. ჩვენი ეპიზოდი „შავშურ ჩანაწერებში“ ვერ მოხვდა. როგორც დავაზუსტეთ, არ ჩაუნიშნავს და არც ახსოვდა.

ბრილი კოფისას მამიასა და ჯემალს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— შენ რას საქმობ?
— უნივერსიტეტის პროფესორი ვარ.

— რას კითხულობ?
— გურჯი იაზის (ქართულ ენას).
— ნიჭი ბაღნებს ასწავლი?
— არა, დიდებს, სტუდენტებს.
— რას ასწავლი? — ხელახლა ჩაჰკითხა ჯემალმა.

— ქართულ ენას.
აქ ჯემალი ჩაფიქრდა და კარგა ხანს იფიქრა. მერე (როცა გვეგონა, რომ ეს თემა ამონურული იყო), ისევ ჰკითხა:

— დიდვანებს ვასწავლი, არ თქვი?
მამია აქამდე თან მერი ცინცაქს ესაუბრებოდა და ჯემალის კითხვებს მექანიკურად პასუხობდა. ახლად შეატყო განსაკუთრებული ინტერესი და თავადაც გაფაცვიცდა:
— შო, დიდვანებს ვასწავლი.
— ლაპარაკს ასწავლი?
— არა, ენას.
— დიდვანებმა გურჯი ენა არ იციან?
— იციან.

— აბა შენ რაღას ასწავლი?
ეს იმ იშვიათ შემთხვევათაგანი იყო, მამია ფალავას პასუხის გაცემა რომ გაუჭირდა. — როგორ გინდა აუხსნა უბრ (კეთილ, თბილ, მაღლი-ან კაცს, მაგრამ უბრს), რას ნიშნავს ენის მეცნიერული სწავლება დიდებისთვის, მათთვის, ვინც ამ ენაზე ლაპარაკი იმთავითვე იცის...

მოკლედ, ბრილელმა ჯემალ ჩელიქმა „სოკრატული მეთოდით“ — სულ რამდენიმე კითხვის დასმით წყალში ჩაგვიყარა ფილოლოგებს ამდენი ხნის ნაღვან-ნაამაგარი.

ეს ამბავი მხოლოდ სალალოდ როდი გავიხსენეთ. თურქეთის საქართველოში ახალი თაობა ვედარ ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე. იმრიტება, ქრება ნინაპრებთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი ძაფი, რომელიც ყველაზე გამძლე გამოდგა. „თუ იციან რაღას ასწავლითო“, — უკვირს ჯემალს, მაგრამ შავშეთში რომ დაივიწყა, — აღარ უკვირს. მისთვის ეს ბუნებრივი პროცესია და აღარც ტკივა. არადა რამოდენა სატკივარია, მოურჩენელი, გარდაუვალი, შეუჩერებელი... „ჩანაწერების“ ავტორი ამ თემას არაერთხელ ეხება, განიცდის, ჩივის, განსჯის:

„ბევრ სოფელში გაიგონებ, თურქულად მოლაპარაკე არ იყო ჩვენთან არცთუ დიდი ხნის წინათ. გვიან გადაბრუნდნენ გურჯები. იძულებული გახდნენ, ესწავლათ თურქული, — სახელმწიფო ენა. სხვაგვარად ვერც სამუშაოდ წავიდოდნენ დიდ ქალაქებში და ვერც შვილებს შეიყვანდნენ სკოლებში. პირველყოფილი წესით ცხოვრება აღარ შეიძლებოდა...“

ყველაფერი ეს არ იყო იოლი. „თურქულზე გადაბრუნება“ იყო ხანგრძლივი და დამთრგუნველი პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება...“

* * *

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ნივნი ფენებზე ჩალაგებულ რომანტიკულ შრეებზე. ასეთი ნივნი ხომ რომანტიკის გარეშე არ არსებობს. ეს რომანტიკა იგრძნობა ცალკეულ ფრაზებშიც კი — პრობლემა ცალკეულ გაგრძობინებებზე მოგზაურობის ხილვაც და ჩვენებურთა ცხოვრების რეალობასაც. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ასეთი ფრაგმენტები:

„მოდ და ნუ დაიჯერებთ. დედემ ნათქვამი აქ გადასინჯვას არ ექვემდებარება! დედემ იტყოდა, ესე იგი ასე იყო...“

„ისამდე კიდევ გულის გაკოჭვამდე.“

„აქ თავაზიანად ექცევიან საქონელსაც. ჩომას კი არ დაუყრიან თივას ან მოლს, „მიართუმენ.“

„აქაურ ხვატში აირანი მისწრებაა პირდაპირ, სიციხით შეწუხებული კაცის გამაცოცხლებელი საშუალება...“

ფრაზები ფრაზებზე და რომანტიკის მთავარი წყარო მანც ნივნი შეტანილი ზოგიერთი ამბავია. მაგალითად, შეხვედრა მემედ ილმაზთან, ზოსულ მიმღერალთან. მემედი შავშეთში პოპულარული კაცია. უკრავს აკორდიონზე, მღერის ქართულ და თურქულ სიმღერებს, მას ხშირად იწვევენ მარიობაზე თუ სხვა თავყრილობაზე — სასიმღეროდ. შემდგომში არაერთხელ შეხვედრითარ ილმაზს, მაგრამ ზოისში მამია ფალავა შემთხვევით მოხდა მის ოჯახში. როცა მემედმა გაიგო, რომ სტუმარი ორთაბათუმიდან იყო, მოულოდნელად განაცხადა: „— ორთაბათუმელე, თქვენგან დიდმა დედებმა მუზიკა ისესხეს და ახლანა დიგიბრუნითო.“ დაუბრუნა კიდევ, გზებით დაუკრა ორთაბათუმური ხორუმი. „შავშურ ჩანაწერებში“ თვალნათლივ ჩანს „ვალის დაბრუნებით“ გაამაყებული ავტორის ემოცია:

„...დაუკრა ჩვენებური საცეკუო, ხორუმის ერთ-ერთი ვარიანტი, ორთაბათუმური ხორუმი, რომელიც ორთაბათუმში და, როგორც ჩანს, მთელ საქართველოშიც, დაივიწყეს, მაგრამ შეინახეს იგი ზოისელებმა, იმერხველებმა ზოგადედ. ჩვენმა მოძმებმა ჭოროხის ხეობაში და ახლა,

დიდი ხნის შემდეგ ორთაბათუმელს, და მთელ საქართველოსაც, გვიბრუნებენ ამ ვალს და მე მატანებენ.

და მეც მივიღე ეს ვალი, გახარებულმა და გამაყებულმა...“

დაბრუნებული ხორუმის რომანტიკა ხომ შთამბეჭდავია, მაგრამ ამ თემაზე საუბარს ისე ვერ დავასრულებთ, ჩანაწერებში ასახულ ზღაპრულ ისტორიებს და ავტორის მათთან დამოკიდებულებებს რომ არ შევეხოთ.

ასეთ ისტორიებს ჩვენში ნაკლებად ყვებიან. მითუმეტეს, დიდი ხანია გაფერმკრთალებულია ავსულების და ქაჯების გულბრწყვილი რომანტიკა. შავშეთში კი, კარგად თუ მოძებნი, ჯერ კიდევ გადაყვები ტყის კაცებს და ჯაზი-ნენეს, შეითნებს და ჯინებს... „ჩანაწერების“ ავტორს მოყვას იბრაიმ ჩახმახის (გორაძის) მონათხრობი:

„ერთი კაცი ღამე ნისქელიში დარჩენილა. ღამე ჯინები მოვიდნენ, ფერულბოტენ. ჯინები ამბობენ ქი, „ოთხშაბათი“, „ოთხშაბათიო“... ასე სამობენ. ისაც, კაციც სამობს და ოთხშაფათს ამბოფს. საბაზლაზიხან ჯინები დაფანტვილან. დაფანტვილან უთქვამან ქი: — ჩვენ ვისამეთ, ამანაც ისამა ქი, ჩვენ ოთხშაფათი ვოქვით, ამანაც თქვა ქი... რა ილუფი ვუყოთო? — კაი კაცია, აქ კუზი მოვხსნათ და გაუყნოროთო — უთქვამან ქი.

გასწორეს და დეიფანტენ...“

ეს ისტორია კიდევ გრძელდება და მისი კითხვისას, უფრო კი მოსმენისას რაღაც გაუცნობიერებელი ნაღველით ივსება კაცი, მაინცდამაინც სახელს რომ დავაქრებ, ისეთი ნაღველით. აღბობნებულ, უკვე დასაკარგად განწირულ გულბრწყვილი რომანტიკასთან უნებლიე შეხების გამო...

* * *

წარდგინება ნივნისა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ ორივე სიტყვით მანც არ შევეხეთ „შავშური ჩანაწერების“ იუმორს. ცხადია, ეს არ არის ძირითადი ხაზი ნაშრომისა. მიუხედავად ამისა, შიგადაშიგ ზომიერად არის განხილული მახვილგონივრული იუმორი — ზოგჯერ პირდაპირი, ღია, ზოგჯერ შემპარავი, დახვეწილად, მინიშნებით თქმული. „ჩანაწერების“ იუმორი ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ერთია უშუალოდ ავტორისეული იუმორი, კონკრეტული ფაქტის თუ ამბის შთაბეჭდილებით გამოწვეული. მაგალითად ისეთი, როგორიცაა დიალოგი ერთ იმერხველ მოხუცთან:

„— ბათოში ჰოთკენა ახლა?
— ბათუმი გურჯისტანია, საქართველო, მისი ნაწილი.

— ალლა რაზი ოლსუნ, კარგია! გორბაშოვ მაღლობა უთხარით, ერთათ რომ ხართ (ზაქიეთლებს გორბაშოვი დემოკრატია და თავისუფლების თავკაცად მიანიჭათ. დიდი ავტორიტეტი აქვს გორბაშოვს ზაქიეთში.)“
„ბათოში ჰოთკენას“ რომ თავი დავანებოთ, ამ დიალოგის ჟამს საბჭოთა კავშირი კარგა ხნის დაშლილი გახლდათ...
ხუმრობათა მეორე ჯგუფი მახვილი თვალთ და ყურით აკრფაფილი არაკებია შავშელთა. აქაც მხოლოდ ერთ არაკს მოვიტან:

ერთი იმერხველი თურმე დათვებ წასულა სანადროდ.
„შეხდა დათვი. დუუმიზნა, ესროლა და ააცილა.

გაპერსებული დათვი წამოვიდა კაცისკენ. დეიგლიჯანა. კაცმა თოფი მიიღო და დათვს დეი-მუქრა, არ მომეკარო, თვარა თავს მოკლავო...
აბა კაიო, ყეზა არ მოგივიდესო, უთქვია დათვს და წესულა...“

* * *

კარგი ნივნი იოლად განაწყობს კაცს სასაუბროდ. „შავშურ ჩანაწერებზე“ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. ჩვენ მკითხველთაგანი ვართ, მაგრამ ამავე დროს მოწმე და თვითმხილველი აქ აღწერილი ამბებისა. კარგად ვიცით, რომ ნივნი ორი ათეული წლის განმავლობაში, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე განუვლი დიდი შრომისა და ძალისხმევის ნაყოფია. აკადემიური საქმიანობა წარმოუდგენელია ასეთი გარჯის გარეშე, ეს ყველაფერი კი საუნივერსიტეტო ცხოვრების ძვირფასი ნაწილია უპირველესად, ამიტომ გასაგებია ნივნის ავტორის მადლიერება მშობლიური უნივერსიტეტის მიმართ: „მაღლობა უნდა ვუთხრა ჩემს უნივერსიტეტს ყველაფრისთვის: რასაც ვაკეთებდით და ვაკეთებთ, მისი სახელითა და სახელისთვის ვაკეთებდით...“

ფიქრობთ, „შავშური ჩანაწერების“ ავტორი ასევე იმსახურებს მაღლობას. ამჯერად, როგორც კარგი ნივნის ავტორი და ჩვენც ჩვენ წილ მაღლობას ვეუბნებით მხოლოდ...

მალხაზ ჩოხარაძე

ზაზა შაშიპაძე



2013-2014 სასწავლო წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს ასოცირებული პროფესორი ირაპლი ზორბილაძე ხელმძღვანელობს. იგი გახდა „ბათუმის უნივერსიტეტს“ დეპარტამენტში შემავალი პროგრამული მიმართულებებისა და სამომავლო მიზნების შესახებ ესაუბრება:

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი უნივერსიტეტში ერთ-ერთი კომპლექსური, მრავალდარგობრივი ერთეულია, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპის მცოდნეობის პროგრამულ მიმართულებებს.

ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამებიდან ყველაზე ხანგრძლივი ისტორია ფსიქოლოგიის მიმართულებას აქვს. ამიტომ სწორედ აქედან დაიწყო ის დამოუკიდებელი სასწავლო-სამეცნიერო კათედრის (დეპარტამენტის) სახით უნივერსიტეტში 1990 წელს ჩამოყალიბება, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო ფსიქოლოგთა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ზრდით. ხარისხობრივი ზრდის ერთი მთავარი მაჩვენებელი გახდა 2006 წელს დიმიტრი უზნაძის საიუბილეო მედლით დაჯილდოება. ამჟამად ფსიქოლოგიის პროგრამულ მიმართულებას ხელმძღვანელობს სრული პროფესორი, ბატონი გურამ ჩავანავა. საგანმანათლებლო პროგრამას ფსიქოლოგიის მიმართულებით ვახორციელებთ ორ, ბაკალავრიატისა (2009წ.) და მაგისტრატურის (2006წ.) საფეხურზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უნივერსიტეტში და მის ფარგლებს მიღმა ფსიქოლოგთა აქტივობა, რომლის უშუალო შემადგენელ ნაწილად იქცა უნივერსიტეტის ფსიქოლოგთა მიერ წარმოებული სარეაბილიტაციო, საინტერვენციო და სა-

კონსულტაციო სამუშაოები.

შედარებით ახალგაზრდაა, თუმცა საკმაოდ გამოცდილება შეიძინა და წარმატებით ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც ასოცირებული პროფესორი, ბატონი ირაკლი მანველიძე ხელმძღვანელობს (2006 წლიდან). ფაქტია და სასიამოვნოცაა, რომ ამან პოლიტიკური მეცნიერებების კუთხით სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება მოითხოვა. ამ მიმართულებით აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან და კვლევით ინსტიტუტებთან, მათ შორის თსუ-სა და საქართველოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტთან, რომლებთანაც გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რამაც შევქმენა სამართლებრივი საფუძველი ერთობლივი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის საქმიანობა

სასწავლო, სამეცნიერო და სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. უკვე მომზადებული გვაქვს და იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში ამოქმედდება სამაგისტრო პროგრამაც.

მეორე წელია უკვე, რაც ასევე წარმატებით ვახორციელებთ ევროპის მცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამას. აქვე მინდა გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი საგანმანათლებლო პროგრამა ახლახანს ავამოქმედეთ, საუნივერსიტეტო მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობებია. 2013 წელს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება-



ნდა მონოგრაფია, რომელმაც სპეციალისტების დადებითი შეფასება დაიმსახურა. 2009 წელსვე თქვენი მონა მორჩილი ERASMUS MUNDUS პროექტის ფარგლებში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ვიმყოფებოდი პორტუგალიაში, ვიანას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

წინა წელი ჩვენთვის ნაყოფიერი იყო საკუთრივ სამეცნიერო აკადემიური აქტივობის თვალსაზრისით. წარმატებით ჩატარდა კონკურსი, შესაბამისად დღეს სამ საგანმანათლებლო პროგრამას ვემსახურებით ერთი სრული, ოთხი ასოცირებული და ხუთი ასისტენტ პროფესორი. დეპარტამენტში მომზადდა და გამოიცა არაერთი მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო, რამაც სტუდენტებს გაუადვილა რთულად ხელმისაწვდომი მასალის დაშუაშვება და ათვისება.

დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო კავშირების მოძიებაზე. მომზადებული გვაქვს რამდენიმე წინადადება (არ მინდა წინასწარ გავახიანო) ევროპის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის დეპარტამენტებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის შესახებ. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით, აქ ეს კავშირები არსებობს და ვფიქრობთ, მის გაღრმავებაზე.

ასე რომ — ბევრი რამ გავაკეთეთ და ბევრიც გვაქვს გასაკეთებელი.

დასასრულს, მინდა მივულოცო სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს ახალი სასწავლო წლის დაწყებას. იმედს ვიტოვებ, რომ მომავალ ახალ სასწავლო წელსაც გვექნება ბევრი ახალი ინიციატივა და წარმატებები შესაჯავებელი.

ირაპლი ზორბილაძე,
ასოცირებული პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი ძალა — ძლიერი პედაგოგია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმ უნივერსიტეტებს შორისაა, რომელიც ზრუნავს განათლებული მომავალი თაობის აღზრდისათვის. უნივერსიტეტის პროფესორმა ლელა თავდგირიძემ, რომელიც ამავე დროს მასწავლებლის მომზადების პროგრამის ხელმძღვანელია, განაცხადა, რომ 2010 წლიდან საქართველოს უნივერსიტეტებში, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა, სადაც სტუდენტები minor-ის ანუ დამატებითი სპეციალობის სახით სწავლობენ. გარდა ამისა, შესაძლებელია გამოცხადდეს ერთნაირი მიღება, დამწყებმა პედაგოგებმა მიიღონ შესაბამისი განათლება და რაც მთავარია, ამ პროგრამის გავლის შემდეგ მზად იქნებიან მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად.

მასწავლებლის მომზადების პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტმა ნანა ირემიძემ კითხვაზე: თუ რისთვის აირჩია პედაგოგიკა და რა არის ამ სპეციალობის არჩევის მიზანი განაცხადა: „უკვე მეორე წელია რაც მასწავლებლის მომზადების პროგრამას გავდივარ, ვისწავლე საინტერესო საგნები და ისეთი საკითხები ისწავლება რაც ყოველდღიურია და ყველა ქალმა უნდა იცოდეს. თუ პედაგოგი არ გახდება, ისიც რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ შენს შვილებს დაეხმარები და ასწავლი. ურთიერთობა გვაქვს ნამდვილ პედაგოგებთან, ადამიანებთან, რომლებთანაც გვსიამოვნებს ყველა საკითხზე საუბარი“.

„ქვეყანამ წინ რომ წაინოს, რომ განვითარდეს და ყავდეს ძლიერი და განათლებული საზოგადოება, აუცილებელი ძალა არის აღმზრდელი და კარგი ხელმძღვანელი, ასეთი პიროვნება კი არის პედაგოგი. ჩვენ განათლების ფაკულტეტის პროფესორები ვზრუნავთ პედაგოგთა აღზრდისათვის, ჩვენი მიზანია, ის გამოცდილება რაც ჩვენ გავაჩინა, გადავცეთ ჩვენს სტუდენტებს და ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებისაკენ“, — განაცხადა გულკო შერვაშიძემ.

მეოთხე წელია, რაც ეს პროგრამა უნივერსიტეტში მოქმედებს და ბევრ განათლებულ კურსდამთავრებულს უშვებს, რომელთა უმეტესობა დასაქმებულია, როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებში. ამ პროგრამის პარალელურად უნივერსიტეტში მოქმედებს განათლების ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამა, რომლის გავლის შემდეგაც სტუდენტებს უფლება აქვთ დირექტორის თანამდებობები დაიკავონ და ასევე განათლების სამინისტროშიც დასაქმდნენ. ამ პროგრამის ყველა სტუდენტი გადის პრაქტიკას და სკოლებში ატარებენ როგორც საცდელ, ასევე დამოუკიდებელ გაკვეთილებსაც.

სალომე მჟავანაძე,
ისტორიის სპეციალობის
მეოთხე კურსის სტუდენტი

სამინარი ბავშვის საზრუნო პროექტის ფარგლებში



ტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მექანიზმებზე. სამინარე განხილული იქნება უნივერსიტეტის განვითარებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: დანესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, პოლიტიკური და სოციალური რისკების ანალიზი, პროექტების მართვა, საგანმანათლებლო პროგრამის პროფილის განსაზღვრა, დანესებულების სტრატეგიული გეგმის შემუშავების სპეციფიკა და თავისებურებები.

ერთმომხედებიანი სპექტაკლი „სტუმარი“ გაიხატა

სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში „შიშველმა თეატრმა“ სპექტაკლი „სტუმარი“ წარმოადგინა. ერთმომხედებიანი სპექტაკლი რეჟისორმა ნანა კვასხვაძემ ვუდი ალენის მოტივებზე დადგა და ადამიანისა და სიკვდილის ურთიერთობას ეძღვნება. 2005 წელს საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ბაზაზე დაარსებული „შიშველი თეატრის“ მხატვრული მიმართულება პოსტმოდერნისტულია და პიტერ ბრუკისა და გროტოვსკის თეორიულ პოსტულატებს ეყრდნობა.



უნივერსიტეტს მწერალთა კავშირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით თედორაძე, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ბალათერ არაბული, პოეტები ვახტანგ ღლონტი და ბელა ქებურია ეწვივნენ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორთან, პროფესორ ალიოზა ბაკურიძესთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე მწერლებმა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებსა და ერთობლივი პროექტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საქართველოს მწერალთა კავშირმა ჟურნალ „ცისკრის“ 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო-შემეცნიერებითი პროექტის „ბიბლიოთეკა ბორბლებზე“ ფარგლებში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად წიგნები და ჟურნალები გადასცა.



საქალაქო ეთნოგრაფიული ხალხთა-ძიების ისტორიიდან აჭარაში

(აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის 80 წლისთავის გამო)

აჭარის ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) შესწავლას თითქმის საუკუნე წინადასრულებულია. იგი დაკავშირებულია ცნობილი ქართველი მოგზაური-მკვლევარების — დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას და სხვათა სახელებთან. მათ ფეხით მოიარეს აჭარის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები (ჭოროხის მხარე, ლაზეთი) ცალკეული ჯგუფები და სოფლები და მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოლო-



გიური ხასიათის ცნობები დაგვიტოვებს. ამ ცნობებს დღეს ამ კუთხეთა წარსულის შესწავლაში წყაროს მნიშვნელობა აქვს. ასევე დიდია რუს და დასავლეთ ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერების მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლაში.

საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების სრულყოფილ შესწავლაში წერილობით ცნობებთან ერთად მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ეთნოგრაფიულ საქსპედიციო შემკრებლობით მუშაობას, რასაც თავისი პრინციპები და მეთოდოლოგიური ასპექტები განაჩნია. ამგვარ მუშაობას საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებიდან ეყრდნობა საფუძველი, რომელიც შემდგომ წლებში კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციები სამცხე-ჯავახეთში გაიმართა 194-1926 წლებში. ამას მოჰყვა სხვა ექსპედიციები ქვემო ქართლსა და ხევსურეთში (1927-1929 წლები), დანეთში (1931 წელი), თუშეთში (1932 წელი). რიგით მეხუთე ექსპედიცია ჩატარდა აჭარაში, რომელიც აჭარისათვის პირველი იყო. მომდევნო ექსპედიციები განხორციელდა თრაქსიის (ნალკა) და იმერეთში (1936-1937 წლები). 1940-1950-იანი წლებიდან ეთნოგრაფიული საქსპედიციო მუშაობის მასშტაბები გაფართოვდა და მან მოიკვია არა მარტო საქართველოს ცალკეული რეგიონები, არამედ მეზობელი ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონები. ბოლო წლებში თბილისსა და ბათუმში მომუშავე ეთნოლოგები, მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლები, ექსპედიციებს მართავენ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ძირძველი და მუშავე ქართველები დასახლებულ კუთხეებში.

დავუბრუნდეთ აჭარის პირველ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას, რომლის 80 წლისთავსაც წელს აღვნიშნავთ. ექსპედიციას წინ უსწრებდა მოსამზადებელი მუშაობა. 1933 წლის 24 ივნისს საქართველოს მუზეუმის წარმომადგენლები ენიჭებენ აჭარის სახალხო განათლების კომისარიატს და აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროს, ანუ დღევანდელ ხარისხით ახლგადახლის სახელმწიფო მუზეუმს. მხარეთმცოდნეობის ბიუროში გაიმართა საგანგებო სხდომა, სადაც გადაწყდა აჭარაში ჩასატარებელი პირველი ექსპედიციის ვადები და მარშრუტები. ამავე დღეს გაიმართა აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროს ცალკე გაფართოებული სხდომა, რომელმაც იმსჯელა ექსპედიციის მიზნებსა და ამოცანებზე. აქვე გადაწყდა ექსპედიციის მუშაობაში ადგილობრივი სამეცნიერო ძალების მონაწილეობაზე. ამის შესახებ იუნეებოდა მაშინდელი გა-

ზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ (1933 წლის 27 ივნისი).

აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია 8 კაცი იყო დაკომპლექტებული. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან მასში მონაწილეობდნენ გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდავლიძე, რუსუდან ხარაძე, ფაფალა ქიქოძე და ერთი ფოტოგრაფი, აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროდან — ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი ჯემალ ნოლაიდელი, ისტორიკოსი ვუკოლ იაშვილი.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა შემდგომში ფართოდ ცნობილი მეცნიერი — ეთნოლოგი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელიც მაშინ საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა. ამ დროისათვის მუზეუმი

წარმოადგენდა საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ძირითად კერას. გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით იგეგმებოდა და ტარდებოდა ექსპედიციები საქართველოში.

ექსპედიცია ბათუმიდან 26 ივლისს, დღით 9.30 საათზე, გაემგზავრა და დღის 4 საათზე უკვე ხულოში ჩავიდა და აქაურ სასტუმროში დაბანაკდა. ექსპედიციას, რომელიც თენახვერის მანძილზე გრძელდებოდა, მეტად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ამას ექსპედიციის ხელმძღვანელი ბატონი გიორგი ჩიტაია თავის მოგონებებშიც იხსენებდა, რომელიც 1984 წელს გამოქვეყნდა (გ.ჩიტაია. ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე. თბილისი, 1991, გვ. 86-87). მიუხედავად ამისა, ექსპედიციამ შეძლო მიეღწია დასახული მიზნისათვის. მან მოიარა ხულოს, ღორჯომის, სხალთა-ხიხაძის, ყვანის, მერიის სხვადასხვა 30-მდე სოფელი. ენება, აგრეთვე, გოდერძის უღელტეხილის, ბეშუმის, სარიჩაირის, ზოტყაფის, სოფელ დიდაჭარის ალპური საძოვრების ზონას, სადაც მოიპოვეს მესაქონლე მოსახლეობა იმყოფებოდა. პირველი სავლელ გასვლა ექსპედიციამ ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილებში მოახერხა.


ექსპედიციის პერიოდში შეიკრიბა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ლექსიკური, ფოტო და სხვა სახის მასალა, რომლებშიც ასახულია იმდროინდელი აჭარის მოსახლეობის ტრადიციული და თანამედროვე სამეურნეო ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები, სოფლად დამკვიდრებული ახალი ცხოვრების თავისებურებანი, რაც დაკავშირებული იყო საკომლექსურ მოძრაობასთან.

გიორგი ჩიტაიას მიერ შეკრებილი საქსპედიციო მასალების დიდი ნაწილი 2001 წელს გამოქვეყნდა. მანამდე იგი ფართო მკითხველისათვის თითქმის მიუწვდომელი იყო. მან ვერტიკალური ზონალობის წრილი შეისწავლა აჭარის მინათმოქმედება და გამოყო მისი სამი ტიპი (ბარული, მთური, ალპური) და მოგვცა თითოეული მათგანის აღწერა-დახასიათება. ეს კლასიფიკაცია დღესაც ძალაშია. მეცნიერის საქსპედიციო დღიურებში დაცულია ცნობები აჭარის ნიადაგებზე, მის ტერმინოლოგიაზე, რაც აჭარაში ხალხური ნიადაგმცოდნეობის მაღალ დონეზე მიუთითებს. მეცნიერი აჭარის მარცვლეული კულტურების შესწავლასაც დაინტერესდა და „აჭარლების მონაპოვრად“ ჩათვალა ხორბლის ერთი სახეობა, რომელიც „ტრედისფერი პურის მარცვლის“ სახელით იყო ცნობილი და რომლის მსგავსი ხორბალი საქართველოს სხვა კუთხეებისათვის მაშინ ცნობილი არ იყო. ექსპედიციის დროს აჭარაში სიმინდის 17

ჯიში გამოვლინდა. მკვლევარის აზრით, ეს ჯიშები ადგილობრივი წარმოშობისა და მიღებულია ხალხური სელექციის გზით. გიორგი ჩიტაიამ პირველმა მოგვცა აჭარაში გავრცელებული სახენელი იარაღების (ჯილა, არუნა) აღწერილობა და ხაზი გაუსვა მათ მნიშვნელობას ქართული სახენელი იარაღების ისტორიის შესწავლაში.

ექსპედიციის დროს შეკრებილი და სხვა ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე გიორგი ჩიტაიამ პირველმა შეიმუშავა აჭარის საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაცია და მოგვცა საცხოვრებელი სახლების ცალკეული ტიპების აღწერილობა, რამაც შემდგომ სხვათა გამოკვლევებში სრულყოფილი სახე მიიღო.

ზოგადი ეთნოლოგიის შუქზე შესწავლილი და შეფასებული გიორგი ჩიტაიას მიერ აჭარაში გავრცელებული ტრადიციული ხის საკეტი „დათვა-ბოყვა“, რომელსაც მან ღორჯომის ხეობაში მიაკვლია. ასეთი ხის საკეტების შესწავლისას, რომელთაც ზემო აჭარაში ნაწილობრივ დღესაც არ დაუკარგავს პირვანდელი ფუნქცია, პრაქტიკული გამოყენება, მეცნიერმა მოიშველია უცხოური ლიტერატურის შესაბამისი მონაცემები და დაადგინა, რომ აჭარული „დათვა-ბოყვას“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს უძველესი ტიპის ხის საკეტთან, რომლის მსგავსი გამოსახულია ორი



ათასი წლით დათარიღებულ ბაბილონურ ძეგლებზე.

აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ ნაქალაქარ კვანეთში აღმოჩენილი ვეშაპოიდები და ციკლოპური ნაგებობანი, რომლებიც გიორგი ჩიტაიას ვარაუდით VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება და „აჭარის ისტორიის სიღრმეში გვახედებენ“ (გ.ჩიტაია. 1933 წლის აჭარისტანის ექსპედიცია (დღიური). — შრომები, III, თბილისი, 2001, გვ. 357). სამწუხაროდ, ეს ძეგლები დღემდე შეუსწავლელია.

ექსპედიციის სხვა წევრებისა და პირადად გიორგი ჩიტაიას დაკვირვების თემა იყო აჭარის სოფლად ახალი ყოფის დამკვიდრების პროცესების (საკომლექსურ ცხოვრება, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სწავლა-განათლება, გზების მშენებლობა და ა.შ.) შესწავლა. ექსპედიციის სამუშაო გეგმით მასალები იკრიბებოდა საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაზე, ქორწინებაზე, ნათესაურ ურთიერთობაზე, გვარობრივ შემადგენლობაზე, ხელოსნობა-შინამრეწველობაზე, ყოფაში შემორჩენილ რელიგიურ გადმონაშთებზე, დღეობა-დღესასწაულებზე, სხვადასხვა სახის წეს-ჩვეულებებზე. ეს საკითხები ასახულია რუსუდან ხარაძის, ფაფალა ქიქოძის დღიურებში. მეურნეობის ცალკეულ დარგებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაზე მასალებს კრებდა ენათმეცნიერი სტეფანე

მენთეშაშვილი. მასალები, სახელწოდებით „აჭარის ეთნოგრაფიული მასალები“, დაიბეჭდა კრებულში „ენიქის მოამბე“ (ტ. I, თბილისი, 1937).

მრავალმხრივ საყურადღებოა ექსპედიციის წევრის, ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის ჯემალ ნოლაიდელის მიერ შეკრებილი მასალები. ბატონ ჯემალს მაშინ ახლად ჰქონდა დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუშაობდა აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროში. იგი სწავლობდა აჭარის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სხვადასხვა საკითხებს (წეს-ჩვეულებები, თქმულება-გადმოცემები, ზღაპრები, ზემორისტიკური სხვა ნიმუშები). ექსპედიცია დროში ზემო აჭარაში გავრცელებულ შუამთობის ხალხურ დღესასწაულსაც დაემთხვა და, ბუნებრივია, მის ჩანაწერებში ამის შესახებაც საინტერესო მონაცემები დაცულია. მისი ცნობით, ზემო აჭარის ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად შუამთობაში მონაწილეობდნენ მესხები, კახაბერები, გონიოები, სარფში მცხოვრები ქურთ-ხემშილები, რომლებიც აჭარის საზღვრულ საძოვრებში სარგებლობდნენ. იგი აღწერს შუამთობის დღესასწაულს, აჭარულ, ლაზურ და ქურთ-ხემშილთა ცეკვებს, რომელთა შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე გიორგი ჩიტაიას საქსპედიციო დღიურებშიც.

ჯემალ ნოლაიდელის მიერ 1933 წლის ექსპედიციის დროს და მომდევნო წლებში შეკრებილი მასალების დიდი ნაწილი შესულია წიგნში „ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარულთა ყოფაცხოვრებიდან“, რომელიც 1936 წელს ბათუმში გამოიცა. ეს იყო პირველი ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარაზე, ხოლო მისი ავტორი — პირველი ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი-დიალექტოლოგი აჭარადან. მან დიდი ამაგი დასდო აჭარის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ შესწავლას, რომელსაც თავის დროზე დიდი შეფასება მისცა საქართველოს ისტორიის პატრიარქმა, აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.

1933 წლის აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ამ დროს გადაღებული ფოტოები, რომელთაც დიდი ეთნოგრაფიული ღირებულება გააჩნია. ფოტოების ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ნაწილი აჭარის ხარისხით ახლგადახლის სახელმწიფო მუზეუმში, აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში. გიორგი ჩიტაიამ და სტეფანე მენთეშაშვილმა აჭარის სახელმწიფო მუზეუმს მაშინ გადასცეს 1.165 მანეთად შეფასებული 36 ექსპონატი, რომლებიც ამ ექსპედიციის დროს იქნა შეკრებილი (ხ.ახლგადახანი. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. ბათუმი, 1958, გვ. 20).




ეთნოგრაფიული საქსპედიციო მუშაობის პოპულარიზაციის მიზნით ექსპედიციამ ხულოსა და ქედამი მოაწყო მოძრაი გამოფენები, რასაც დამთავლებულთა განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია.

2013 წელს აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ჩატარებიდან 80 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე აჭარაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა არა მარტო სავლელ-საექსპედიციო ეთნოგრაფიული მუშაობა, არამედ საერთოდ ეთნოლოგიური კვლევა-ძიება და მნიშვნელოვანი წარმატებებიცაა მოპოვებული. ეთნოგრაფიული საქმიანობა თავდაპირველად კონცენტრირებული იყო აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროში, რომელიც შემდეგ აჭარის სახელმწიფო მუზეუმად გადაკეთდა. 1958 წელს დაარსდა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთ ნაშევან სამეცნიერო განყოფილებად ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის) განყოფილება ითვლება. განყოფილებამ წარმატებით გააგრძელა აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს დაწყებული სავლელ ეთნოგრაფიული შემკრებლობითი მუშაობა, რომელიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე თითქმის მივიწყებული იყო. მხედველობაში გვგმაზომიერი საქსპედიციო საქმიანობა, რომელიც ჩატარდა და ტარდება არა მარტო აჭარის, არამედ მისი მეზობელი რეგიონების ეთნოლოგიური შესწავლისათვის. განყოფილებამ დღემდე 50-მდე ექსპედიცია ჩატარა აღნიშნულ რეგიონებში. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები (დღიურების სახით), რომელიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე განყოფილების ფონდებში. ამ მასალების საფუძველზე გამოიცა 20-ზე მეტი მონოგრაფია, 20 დარგობრივი კრებული, ჩატარდა და ტარდება სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. ეს არის ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ძვირფასი შენაძენი, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აჭარის, არამედ საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ტრადიციული და თანამედროვე ყოფის შესწავლაში.

წინამდებარე სტატია ეძღვნება აჭარის პირველ ეთნოგრაფიულ ექსპედიციის 80 წლისთავს. ახალგაზრდა მინარსის სტატია ჩვენს მიერ დაიბეჭდა გაზეთ „აჭარაში“ (2003 წლის 10 ოქტომბერი) და იგი მიეძღვნა ამ ექსპედიციის 70 წლისთავს. ამავე წლისთავს მიეძღვნა 2003 წლის ოქტომბერში ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელშიც თბილისელი ეთნოლოგებიც მონაწილეობდნენ. ექსპედიციის 80 წლისთავს მიეძღვნება ინსტიტუტისა და ხარისხით ახლგადახლის სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივი სამეცნიერო სესია, რომელიც უახლოეს დღეებში ჩატარდება.

ნოდარ კახიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ბამოსათხოვარი სიტყვა პროფესორ ალექსანდრე ჯაყელს



მ/ნლის 16 სექტემბერს ქართველ მეცნიერთა რიგებს, 86 წლის ასაკში გამოაკლდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის პედინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ყოფილი გამგე, პროფესორი ალექსანდრე იოსების ძე ჯაყელი. დაგვრჩენია ერთი რამ, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ მისი ღვაწლი და დამსახურება ერისა და ქვეყნის, აჭარისა და მისი რაიონის წინაშე და უკანასკნელ გზაზე გავაცილოთ იგი.

ერის ისტორიაში გამოჩენილი თუ ჩვეულებრივ ადამიანებს თავიანთი ნიჭით, ერუდიციით, მამაცობით თუ სათნოებით, პატიოსნებით, სიტყვისა

და საქმის ერთიანობით, უანგარო შრომა-გარჯით თუ სხვა ზნობრივი თვისებებით გარკვეული წვლილი შეაქვთ საერთო ღირებულებებში. ერთი ასეთიგან ბატონი ალექსანდრე ჯაყელიცაა. ალექსანდრე შთამომავალი ისტორიაში ცნობილი ჯაყელთა გვარისა, რომელიც გამუდმებით ებრძოდა მტრებს. საინტერესოა, რომ უთანასწორო ბრძოლაში ჯაყელის რაზმის განწყვეტის შემდეგ, ერთ-ერთმა ჯაყელმა თავი შეაფარა აჭარას, კერძოდ ხულოს რაიონის ჯერ სოფელ აგარას, შემდეგ კი ვაშლოვანში გადმოვიდა და იქ გამრავლდა. მარტო ალექსანდრეს ბაბუა იუნუს ჯაყელი და მისი მეუღლე ქალბატონი ელმასი 150-მდე ნამრავლს მოითვლიან. ამ შთამომავალთა შორის იყო ჩვენი „სამგლოვიარო ოუბილარი“.

მძიმე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების გზა გამოიარა მან. დაიბადა 1927 წ. 25 იანვარს ხულოს რაიონის სოფ. ვაშლოვანში. აღიარებული იუსუფ-იოსებ ჯაყელის შრომისმოყვარე და პატიოსანი ოჯახში. ქვეყანა ახალი ცხოვრების შენების ფერხულში იყო, 20-30-იანი წლების რეპრესიები, მეორე მსოფლიო ომის სიძნელეები. ჯაყელის ნელგამართულმა ოჯახმა შეძლო და ხელი შეუწყო შვილის აღზრდას და განათლების მიღებას. ხულოს პედსასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1948 წ. ბატონმა ალექსანდრემ დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და დაიწყო შრომითი საქმიანობა. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ კვაჭიასა და ქედლებს 8-წლიანი სკოლების დირექტორად, პარტიის ხულოს რაიკომის ინსტრუქტორად. ამავე რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, დაწინაურეს ხულოს რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ.

ბატონი ალექსანდრე, რაიონის სხვა ხელმძღვანელებთან (ალ. ქონიძე, არჩილ და სიმონ ბერიძე, გიორგი დავითაძე, გრიშა თოიძე, შალვა ჩხაიძე, არჩილ ბოლტაძე, მიხეილ ბერიძე, ეთერ აბულაძე, იოსებ შავაძე და სხვები) ერთად, პრინციპულად ჰკიდებს ხელს ხულოს რაიონში წარსულის მანვე გადმონათვისების დაძლევის, ეკონომიკის, განათლების, კულტურის განვითარების საკითხების განაწვევას და წარმატებებსაც აღწევს. ის ზრუნავს რაიონის წარმოშობის პრობლემების გადასაჭრელად — საქართველოს სხვადასხვა რაიონებში განსახლებისათვის.

1961-1962 წლებში ბატონი ალექსანდრე ერთდროულად ამთავრებს უმაღლეს პარტიულ სკოლასა და ასპირანტურას. 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ისტორიის მეცნიერებათა პირველი კანდიდატი გახდა ხულოს რაიონიდან. მუშაობას იწყებს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექტორად. იყო პარტიურის მდივანი. სამეცნიერო საბჭომ იგი 2-ჯერ აირჩია საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგედ, რასაც წარმატებით ართმევდა თავს. მისი ხელშეწყობით არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაიკაფა გზა მეცნიერების ლაბირინთებში მოღვაწეობისათვის, მრავალთაგან ერთ-ერთი მე გახლავართ. დიდი მადლობა თქვენ, ბატონო ალექსანდრე. იგი ზრუნავდა სხვებზე და თავადაც დაინტერესებული იყო მითიანი რაიონის პრობლემების შესწავლა-გადაჭრის გზების ძიებით. მისი სადისერტაციო თემა ეხებოდა მთის პრობლემებს აჭარის მაგალითზე, რასაც 14, ხოლო პარტიული მშენებლობის საკითხებს 25 ნაშრომი მიუძღვნა. შრომები დაბეჭდვა თეზისებად ან სტატიებად სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის შრომებში, გამოვიდა ნიგნადაც. თავისი მოღვაწეობის ბოლო წლებში, კათედრის სხვა მუშაკებთან ერთად, ალექსანდრე იკვლევდა ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, დემოგრაფიის სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემას. მას არასდროს უღალატია პედაგოგიური და მეცნიერული სინდისისათვის, ახალგაზრდობის აღზრდის დიდი საქმიანობის, ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს.

ალ. ჯაყელი პატიოსნებით გამოჩნეული პიროვნება, ლამაზი-ცხოვრებით, ფიზიკური აღნაგობით-წარმოსადგეი, დარბაისელი კაცი იყო, თავმდაბლობით, ზნეკეთილობით, უბრალოებით, მაღალი პასუხისმგებლობით, ერთგული ტრადიციებისადმი ერთგულებით აღიარებული მოქალაქე და მეცნიერი გახლდათ. ჰქონდა მშვიდი ხასიათი, შეეძლო მიტეხვა, გვერდით დგომა, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის აქტიური დამცველი და გამტარებელიც იყო.

ბატონ ალექსანდრეს 70-წლიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა კათედრის ინიციატივითა და რექტორატის მხარდაჭერით აღინიშნა 1997 წელს. დაჯილდოებული იყო ორდენით, მედლებით, აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, 2007 წლიდან გავიდა პენსიაში.

ბატონმა ალექსანდრემ ნაყოფიერი სასწავლო პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად შექმნა კარგი ოჯახი. მან თავისი ბედი დაუკავშირა აღნიშნული გვარის ღირსეულ წარმომადგენელს, პროფესორს ექიმს, ქალბატონ ნადიდე ქიქავას, აღზარდეს ორი შვილი: მერაბი და ნატო და 5 შვილიშვილი. შვილებმა მიიღეს განათლება, დაოჯახებული არიან და აგრძელებენ გვარსა და ოჯახის ტრადიციებს.

მუდლის ჯერ ავადმყოფობამ, შემდეგ ადრე გარდაცვალებამ, ალექსანდრე ულლის ცალად დატოვა, რამაც იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და ბოლოს მოუსწრაფა სიცოცხლე. ალექსანდრეს პიროვნული თვისებები, მისი კაცობა, ნათელი ხსოვნა, დიდხანს გაჰყვება ოჯახის წევრებს, ნათესაობას, ახლობლებს, მეგობრებს, პედაგოგების თუ უნივერსიტეტის უფროსი თაობის კოლეგებს, მათ აღზრდილებს.

ბატონო ალექსანდრე, შენი ნასვლით დაგვეწყვიტე გული, მაგრამ ალბათ, გაახარე მშობლები და მეუღლე.

გვირდებით, სიცოცხლის ბოლომდე არ დაგვიწყნებ შენი მეგობრები. მშვიდად იძინე სასუფეველში. მსუბუქი იყოს შენს გულზე ნაყარი მშობლიური მიწა. ძვირფასო და დაუნიწყარო ბატონო ალექსანდრე. აქ კარგი კაცი იყავ, იქაც ნათელი დაგიდევს, უფროსო ძმაო და მეგობარო.


სერგო ღუშაბაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩა პჩის დრო და უშიქღჳა თუ პჩა დროში მოგზაურობა?

ფიზიკის ცალკეული საკითხების შესწავლისას სტუდენტების მხრიდან ხშირად იბადება ისეთი კითხვები, რომლებზედაც სრულყოფილი პასუხის გაცემა ზოგჯერ ლექციის ფორმატიდან გამომდინარე, ზოგჯერ დროის უკმარისობის გამო, ვერ ხერხდება. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო კითხვაა: შეიძლება თუ არა დროში მოგზაურობა? და საერთოდ, რა არის დრო? სტატიის ფარგლებში მე შევეცადე ამ კითხვებზე გამეცა მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი. ვიმედოვნებ, სტუდენტებისათვის და არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, გასაგები და საინტერესო იქნება.

მელიც ათანხმებს და ადგენს ერთიან მსოფლიო დროს. აქ არსებული ატომური საათები ზომავენ ატომების ბირთვულ რხევებს. ეს საათები ასრულდებიან 9000 რხევას წამში, რომელიც ნანონამის ათი მეტილიონედი ნანოლია. ისინი ზომავენ დროითი ინტერვალის სიხშირეს 16 რიცხვიანი სიზუსტით. რატომ გახდა საჭირო ასე დიდი სიზუსტით დროის განსაზღვრა? არის რამდენიმე მიზეზი... ზოგიერთი მეცნიერულ ხასიათს ატარებს, ზოგიც ძალიან პრაქტიკულია. მაგალითად ნავიგაციის სისტემებში ხელოვნურ თანამგზავრებში ატომური საათების გამოყენება დიდი სიზუსტით ობიექტის მდებარეობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. დრო

მოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს დროში მოგზაურს. მან 803 დღე გაატარა ხომალდზე რომელიც მოძრაობდა 27 000 კმ/სთ სიჩქარით. ის სწრაფად გადაადგილდებოდა არამინორ გრავიტაციულ ველში, ამიტომ დრო მისთვის ნელა მიედინებოდა ვიდრე ჩვენთვის. ვინაიდან მისთვის დრო სხვაგვარად მიედინებოდა, მას მიეცა საშუალება მომავალისათვის შეეხებოდა წამის 48-ე ნაწილით ადრე. რა თქმაუნდა ეს არც თუ შთამბეჭდავია, მაგრამ თუ მას კიდევ უფრო ავანტიურებთ დაახლოებით სინათლის სიჩქარის მახლობელი სიჩქარით, ყველაფერი არაჩვეულებრივად და უცნაურად გვახდება. თუ ის ამ პირობებში იმძრაობდა მთელი წელი, დედამიწაზე დაბრუნებისას აღმოაჩენდა, რომ დედამიწა 10 წლით უფროსი გახდა, მაშინ როდესაც მას მხოლოდ 12 თვე მოემატა.



კიდევ ერთი თანამედროვეობის დროის მანქანა არის გიგანტური ადრონული კოლაიდერი ევროპაში. მსოფლიოში ელემენტალური ნაწილაკების ყველაზე დიდი ამაჩქარებელი. ათასამდე მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და მათ შორის საქართველოდან ატომურ ნაწილაკებს დროში მოგზაურობაზე აქცევენ. მეცნიერები პროტონებს აჩქარებენ თითქმის სინათლის სიჩქარემდე და შემდეგ აჯახებენ ერთმანეთს. დაჯახებისას აფეთქების შედეგად წარმოიქმნება ელემენტალური ნაწილაკები, რომლებიც ცოცხლებში მხოლოდ წამის მეტილიონედ ნანოლიან. მაგრამ კოლაიდერში ეს ნამის ნაწილები ჩვენს დრომდე ინელება. კოლაიდერის 27 კილომეტრიან წრეზე თითქმის სინათლის სიჩქარით მოძრავი პროტონები ველად აჩქარდებიან კიდევ უფრო სწრაფად. დრო მათ ირავს კი არ ნელდება, უბრალოდ მათი წამები უფრო ხანგრძლივი ხდება, ამიტომ გარკვეული მოსაზრებით, პროტონები, რომლებიც ტრიალებენ კოლაიდარის წრეზე მოძრაობენ დროში და დრო მათთვის ნელა მიედინება. პროტონების დროში მოგზაურობის შესაძლებლობა არის ერთგვარი დემონსტრირება იმისა, რომ ჩვენც შეგვიძლია დროში გადაადგილება. რამდენიმე ათეული წელიწადის შემდეგ ხომალდები რომლებიც სინათლის მახლობელი სიჩქარით იმძრაობენ და შეძლებენ ვარსკვლავებზე მიფრინდნენ სულ რაღაც 10 წელიწადში, ბორტზე მყოფი პილოტისათვისაც 10 წელი გაივლის, მაგრამ დედამიწაზე ეს თითქმის 1000 წლის ტოლფასი იქნება. პილოტი დაბრუნდება სრულიად სხვა სამყაროში - მომავალში. მაშასადამე მოგზაურობა მომავალში შესაძლებელია, მაგრამ ნუთუ ეს არის ბილეთი მხოლოდ ერთი მიმართულებით. შეგვიძლია თუ არა განვხორცილოთ ოცნება, რომელიც უკავშირდება მოგზაურობას მომავლიდან წარსულში? აუცილებელი ტექნოლოგიების დახმარებით ხომალდებს შეუძლიათ მომავალში ჩვენი გადაყვანა, მაგრამ შეგძლებთ თუ არა მოგზაურობას წარსულში? შესაძლოა ეს არც თუ ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ჩვენ გარს გვაკრავს წარსული... უბრალოდ დავფიქრებთ, სინათლის სიჩქარე შეადგენს 299 000 კმ/სთ, მაგრამ იმისათვის, რომ სინათლის სიხვი მოხედვს მაგალითად მზის ზედაპირიდან დედამიწის ზედაპირამდე საჭიროა დრო, რომელიც დაახლოებით 8 წუთს შეადგენს. მა-

გარკვეულწილად ყველა მამაკაცი, ქალი თუ ბავშვი ამ პლანეტაზე დროში მოგზაურობას ახორციელებენ. მოგვწონს თუ არა ჩვენ ყველანი თანდათანობით გავდივართ გზას დაბადებიდან სიკვდილამდე და უკან დაბრუნების საშუალება არ გვეძლევა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მომავლის ნახვა. თუ შეგვიძლია... რა მოხდება თუ შევძლებით დავბრუნებუ-ლიყავით უკან წარსულში და ვყოფილიყავით უახლოესი წარსულის თვითმხილველები ან კიდევ გავემგზავროთ მომავალში ჩვენი მომავალი ბედის სანახავად... წარმოიდგინეთ, რომ ვიპოვეთ გასაღები, რომლისთავე საშუალება მოგვეცემა ჩვენს თვალ-წინ გადაიშალოს ისტორიის ფურცლები. უმრავლესობისათვის ყველაზე დიდ სამწუხარო მოვლენად ითვლება ახლო ადამიანის დაკარგვა. დრომ, რომელიც ჩვენ ვატარებთ ბავშვობაში ჩვენს ბებიებთან, ბაბუებთან და ა.შ. მოგვიყვანა დღევანდელი ვინაობამდე. ჩვენ ხშირად გვიჩნდება მათი ხელმოწერა ნახვის სურვილი, ან უკან დაბრუნების სურვილი, რათა მათ ვაჩვენოთ ის, თუ როგორები გავხდით. ეს არარეალური სიზმარს ჰგავს... მაგრამ ნუთუ მართლა მხოლოდ განუხორციელებელი სიზმარია? შეუძლია მეცნიერებას დაანგრიოს კედელი წარსულსა და აწმყოს შორის? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ საჭიროა გავიგოთ თვით დროის ბუნება. ეს ბევრად რთულია ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

აი რას ამბობს სტივენ ჯეფერსონი მეცნიერი ატომისტი და დროის ძირითადი მფარველი: ?ითოეული ჩვენგანი ვთვლით, რომ ვიცით რა არის დრო, ის მიედინება ჩვენსგან დამოუკიდებლად, ჩვენ ვებრდებით, რაც იყო გუშინ არ მეორდება დღეს და ა.შ. მაგრამ არ მგონია, რომ რომელიმე თქვენგანი იმის მიუხედავად ფიზიკოსები ხართ, თუ ჩვეულებრივი ადამიანები, რეალურად ხედებოდეს რა არის დრო... სტივი მუშაობს კოლორადოს სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ნაციონალურ ინსტიტუტში, რომელიც მსოფლიოს ექვსი ლაბორატორიიდან ერთ-ერთია, რო-


(გაგრძელება მე-12 გვერდზე)



ჩა პრის ღრმ და შუიქლეა თუ აჩა ღრმში მოგზაურობა?

(დახაწვის მე-11 გვერდზე)

შასადამე ჩვენ მუდმივად ვხედავთ ნარსულს. იმისათვის რათა სინათლემ გადალახოს 30 სმ მანძილი დასჭირდება ნამის 30 მეტილიარდედი ნანოლი, ამიტომ ბუნებრივია 30 სმ მანძილზე გვერდით მჯდომი ადამიანი ჩვენსგან ყოველთვის იმყოფება ნამის 30 მეტილიარდედი ნანოლით ნარსულში. რაც უფრო დიდხანს ვუყურებთ



ცის თალს, მით უფრო ღრმად ვიხედებით ნარსულში. ხელოვნური თანამგზავრებით გადაღებული იქნა სამყაროს კიდევები, რომლებიც ჩვენგან იმყოფებიან 30 მილიარდი სინათლის წელით, რაც მარტივი გათვლებით რომ ვთქვათ 30 მილიარდი წლით ადრეული ნარსულია. ჩვენ მუდმივად ვიყურებით ნარსულში, მაგრამ შეიძლება თუ არა უფრო ღრმად წასვლა? თუ აინშტაინის დაუფუჯერებთ დრო სივრცეს გავს. რადგან სივრცე არსებობს აქ და ახლა, შესაბამისად დროც არსებობს აქ და ახლა.

კალიფორნიის ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკოსი შონ კაროლი ამბობს: ფიზიკოსებს უყვართ უსასრულობა, ისინი ამბობენ, რომ მთელი სამყარო, სივრცე და დრო რომელშიც ცვენ ვცხოვრობთ რეალურია, ჩვენ ვარსებობთ დროითი კონტინუუმის სხვადასხვა მომენტებში და სხვადასხვა მომენტებში აღვიქვამთ სხვადასხვა საგნებს. დროის მიმდინარეობასთან ერთად მომავალიც რეალური ხდება, ის მუდმივად არსებობს ჩვენს ირგვლივ, როგორც ნარსული და ანმყო. დროთა განმავლობაში ჩვენ გავიგებთ რა ხდება მომავალში, მაგრამ ის ხდება არანაკლებ რეალური როგორც ნარსული და ანმყო. მომავალი არსებობს ისევე, როგორც ნარსული და ანმყო.

დრო ტრიალებს ჩვენს ირგვლივ, მაგრამ შეგვიძლია თუ არა გადავხედავთ ანმყოდან ნარსულში? შესაძლოა აინშტაინმა გვაჩუქა ხერხი, რომლითაც შეიძლება უკან დავბრუნდეთ. სამუშაოსაკენ მიმავალი ტრამვაიში მჯდომმა შეხედა საათს და მიხვდა, რომ დრო დამოკიდებულია იმაზე სად ვიმყოფებით და რა სიჩქარით გადავადგვდებით. დრო ეს მეოთხე განზომილებაა, რომელიც მიმაგრებულია სივრცით, სივრცითა და სივრცით სივრცით განზომილებებთან. რამოდენიმე წლის შემდეგ აინშტაინი შეეცადა შეექმნა კოსმოსის მათემატიკური რუკა გრავიტაციული ველის სივრცე-დროზე გავლენის საფუძველზე. მან დაამტკიცა, რომ სივრცე-დრო გამრუდებულია. თუ სამყარო გამრუ-


დებულია, შესაძლებელია მის გავლით შეიქმნას ხიდები ან გასასვლელი, რომლებიც დროში მოგზაურობის შესაძლებლობას მოგვცემს. ასეთ დასკვნამდე მივიდა მათემატიკური გენიოსი კურტ გედელი 1949 წელს. გედელი იყო აინშტაინის ახლო მეგობარი და შეეცადა გაეგო, გახდებოდა თუ არა მსგავსი გამოთვლები დროში მოგზაურობის საფუძველი. აღმოჩნდა, რომ ... კი. თუ სამყარო იბრუნებს თავისი ღრმის ირგვლივ, ხოლო ჩვენ ვიქნებით უძრავი, ჩვენ შევძლებთ გადავადგვიდეთ სამყაროს ნებისმიერ დროში და სივრცეში. ეს არაჩვეულებრივი აღმოჩენაა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სამყარო არ ბრუნავს... ხოლო ბრუნვის გარეშე შეუძლებელია დროში მოგზაურობა. გედელის გადაწყვეტა არარეალური აღმოჩნდა, მაგრამ მისმა რადიკალურმა აზროვნებამ მკვლევარების ახალ თაობას განსხვავებული აზროვნების საფუძველი ჩაუყარა. პროფესორი ფრენკ ტეპლერი იყო ერთ-ერთი ფიზიკოსი ნოვატორი, რომელიც გააყვამ

გედელის მოსაზრებებს... ის ამბობს: ჩვენ არ შეგვიძლია დავაბრუნოთ სამყარო, ის ან ბრუნავს ან არა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ რაღაც ნაკლებად გრანდიოზული მასშტაბით. მან აჩვენა, რომ თუ შევქმნით მბრუნავი ცილინდრს, მისი საშუალებით შესაძლებელია გავხსნათ არხები, რომლითაც შესაძლებელი გახდება ნარსულში დაბრუნება. ტეპლერის გიგანტური ცილინდრი აერში დაკიდებულ მდგომარეობაში ბრუნავს თითქმის სინათლის სიჩქარით. სივრცე გარდაიქმნება დროში, ხოლო დრო სივრცეში და ორივე მჭიდროდ იხლართება ცილინდრის შიგნით. მიიღება, რომ ცილინდრის წრის გასწვრივ მოძრაობისას ჩვენ გვრუნდებით უკან ნარსულში. ტეპლერის შრომა ?როის მანქანის შექმნის შესახებ რედაქტორებმა არ გაუშვეს დასაბეჭდად, რადგან დაინუნეს ნაშრომის სათაური მიიჩნიეს რა ის ძალიან ამბიციურად, ამიტომ ტეპლერმა შეცვალა შრომის სათაური მბრუნავი ცილინდრები და მსოფლიო კავშირების გლობალური დარღვევის შესაძლებლობა. მოგვიანებით ტეპლერმა აღმოაჩინა, რომ მის იდეას აქვს რამდენიმე ხერხი. ის მიხვდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მბრუნავი ცილინდრის აგება შესაძლებელია, აინშტაინის განტოლების ამოხსნა არარეალისტურია, რადგან ეს ცილინდრი უნდა იყოს უსასრულო, რომლის შექმნაც ისეთივე რთულია, როგორც სამყაროს შექმნა, ე.ი. შეუძლებელია.

შესაძლებელია ტეპლერის მბრუნავი ცილინდრი არ მოქმედებს, მაგრამ სამყაროში არსებობს დიდი ობიექტები სახელწოდებით - შავი ხვრელები, რომლებიც ბრუნავენ თითქმის სინათლის სიჩქარით. შავი ხვრელების კოლოსალური გრავიტაცია შთანთქავს ფიზიკის ყველა კანონს. ნუთუ ნარსულში დაბრუნების საიდუმლოება შავი ხვრელების სიღრმეებშია. შავი ხვრელები არაბუნებრივად მასიური ობიექტებია, რომლებიც გაბნეულია მთელს სამყაროში. შავი ხვრელის კო-


ლოსალური გრავიტაცია აჩქარებს სივრცეს და დროს იმაზე ჩქარა ვიდრე ნებისმიერი ცნობილი ასტრონომიული ობიექტი. შეიძლება თუ არა შავი ხვრელების თვისებების გამოყენება დროის დეფორმირებისათვის და შეიძლება თუ არა მისი საშუალებით დროში მოგზაურობა? შავი ხვრელი დროის მანქანა არაა... თუ მოვხვდებით მის კოლოსალურ გრავიტაციულ ველში, მაშინვე გამოვესალმებით სივრცეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით უცნობია რა მოვლენასთან გვაქვს საქმე შავი ხვრელის სიღრმეებში. შავი ხვრელი ეს არის ბილეთი ერთი მიართულებით, თუ მასში მოვხვდებით უკან ვეღარ დავბრუნდებით, მაშასადამე შავი ხვრელები ვერ დაგვეხმარება. მაგრამ აი კიდევ ერთი კოსმოსური ანომალია რომელსაც ხშირად ახსენებენ ფანტასტები შავი ჭიანჭრილები, როგორც ჯადოსნური ხიდები შესაძლოა დაგვეხმაროს სივრცესა და დროში გადაადგილებაში. თუ მოვხვდებით შავ ჭიანჭრილებში შეიძლება აღმოვჩნდეთ სხვა ადგილას და დროს, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მათი არსებობის დამადასტურებელი ფაქტები, თუმცა მათ უკან არის მყარი მეცნიერება. ამ შავი ჭიანჭრილების შესახებ იმაზე მეტი არაფერია არც იცის ვიდრე ფიზიკოს ნოვატორმა კიტორმა.

ის გვიხსნის: ?არმოიღვინეთ ჩვენი სამყარო გავს ვაშლს. როგორც ვიცით ვაშლია ჭიანჭრის შექმნილი გალდონას ვაშლი ერთი ბოლოდან მეორე ბოლოსაკენ. თუ მათ მსგავსად შევქმნით ამაღავარ ხვრელებს შეიძლება აღმოვჩნდეთ სამყაროს ერთი განზომილებიდან მეორეში. თუ ისინი არსებობენ შავი ჭიანჭრილები ატომებზე მცირე უნდა იყოს. თუ გვსურს მათ გავლით გავიდეთ, აუცილებელია ისინი გავაფართოვოთ და დაავიქსიროთ ასეთ მდგომარეობაში. შავი ჭიანჭრილე-



ბის გასაფართოებლად საჭიროა ენერჯის არაბუნებრივი რაოდენობა, თანაც არა ჩვეულებრივი, არამედ უარყოფითი ენერჯია. ეს ანტიგრავიტაციული ენერჯიაა, რომელიც განიზიდავს მატერიას და სივრცეს და არ აძლევს გრავიტაციას ჩაყლაპოს შავი ჭიანჭრილები. კიბორჩი თვლის რომ მეცნიერთა უმრავლესობა უბრალოდ უარყოფს უარყოფითი ენერჯის არსებობას, მაგრამ რეალურად ასეთი ენერჯია ლაბორატორიებში წარმოიშობა თითქმის ყოველდღე. უმნიშვნელო ოდენობის უარყოფითი ენერჯია არამდგრადია, მაგრამ მაინც ენერჯიაა. ფუნდამენტური საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია თუ არა პროგრესულმა მეცნიერებამ შექმნას საკმარისი რაოდენობის უარყოფითი ენერჯია, რათა გააფართოვონ შავი ჭიანჭრილები და შეუშუბათ მასში ადამიანი. ამ კითხვებზე პასუხი უცნობია.

რჩიარდ ვოტმა მოახმარა მრავალი ათეული წელი დროში მოგზაურობის პრობლემის მოგვარებას. გოტის დროითი მანქანა იყენებს გრავიტაციას, რათა შექმნას კოსმოსური სივრცე. კოსმოსური სივრცე ვინრო ენერჯეტიკული ძაფებია, რომლებიც გადის სამყაროს გავლით. მისი მოსაზრებით, სინათლეს ვერ გავუსწრებთ, მაგრამ თუ მას ჩაუფრთი გზას შეიძლება დაეხმაროს სინათლის სხივს. არაფერ არ იცის არსებობს თუ არა კოსმოსური სივრცე, თუმცა ფიზიკოსთა უმრავლესობა თვლის, რომ ისინი არიან. ზოგიერთი სიმი მოკლეა, ზოგიერთი გრძელი, მაგრამ ყველა მათგანს გააჩ-



ნა არაბუნებრივი გრავიტაცია, ხოლო იქ სადაც არის ასეთი გრავიტაცია არის შანსი შეიქმნას ხიდები დროსა და სივრცეში. მაგრამ არის ერთი პრობლემა. კერძოდ, თუ ორი დიდი სიჩქარით მოძრავი კოსმოსური სიმი თანხვედრაში მოხვდება მათ შეიძლება შექმნან შავი ხვრელი. ჩვენ შეიძლება დავიღუპოთ გადაადგილების შემდეგ ან მანამდე სანამ მოვხვდებით კოსმოსურ სიმიში. ამასთან ეს სივრცე შეიძლება იწონიონ ვთქვათ ჩვენი გალაქტიკის ნახევარს, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია და შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მხოლოდ უმაღლესი ცივილიზაციისათვის არის შესაძლებელი.

მეცნიერები თვლიან რომ დროში მოგზაურობის გასაღები შეიძლება იყოს კვანტური გრავიტაციის კანონებში, რომლებიც ბოლომდე შესწავლილი და აღქმული არ არის. ჩვენ ვიცით როგორ მოქმედებს გრავიტაცია ჩვენზე, მაკროსკოპულ საგნებზე, მაგრამ ჩვენ არ ვიცით როგორ მოქმედებს გრავიტაცია კვანტურ დონეზე. როგორც ჩანს აინშტაინის სივრცე-დროით კონტინუუმში დროში მოგზაურობა არარეალურია, მაგრამ არსებობს სხვა სამყარო და სხვა ფიზიკა, სადაც ყოველთვის არ არის ვარგისი აინშტაინის რაციონალური წესები. ეს არის ატომის შიგნით სამყარო, სადაც ბოზოქრობს კვანტური მექანიკის კანონები. კვანტური მექანიკა ამტკიცებს, რომ როდესაც ნაწილაკს ვერ ვხედავთ ის შეიძლება იმყოფებოდეს ყველგან, ხოლო როცა ვხედავთ ის ერთ ადგილზეა. კვანტური მექანიკის ერთ-ერთი უცნაურობაა არალოკალურობა, როცა ორი ნაწილაკი მყისიერ გავლენას ახდენს ერთმანეთზე მაშინაც კი, როცა ერთმანეთისაგან მრავალი კილომეტრით არის დაშორებული. კვანტური არალოკალურობა მეცნიერულად დასაბუთებულია. შევიცარის ბანკი აფინანსებს კვლევებს, რომლის მიზანია კვანტური არალოკალურობის საფუძველზე შეიქმნას გაუტყეავი კომპიუტერული დაცვის მექანიზმები. კვლევებს ხელ-

მდევანელობს პროფესორი ნიკოლას გისონი. მისი კვლევები ფოტონების სინქრონიზაციაზე იძლევა შემდეგი დასკვნების კეთების საფუძველს. თუ რაიმე სახით გავლენას მოვახდენთ ერთ ფოტონზე მსგავს გავლენას განიცდის მეორე ფოტონიც, რომელიც შესაძლოა მისგან საკმაოდ მოშორებით იყოს. ეს ორი ფოტონი გარკვეულწილად წარმოადგენს ერთ მთლიანს. გისონი მთელს ფენევაში დაქსელული ოპტიკირბოჭკოვანი კაბელის გავლით აგზავნიდა ფოტონურ სიგნალებს. კაბელის ერთ ბოლოზე ფოტონთა ზემოქმედებას ახდენდა ლაზერით და იმავდროულად ზემოქმედებას განიცდიდა კაბელის მეორე ბოლოს ფოტონიც. თითქოს არაფერი არ მოძრაობს, ადგილი არ აქვს ენერჯის გაცვლას, მაგრამ ამის მიუხედავად ნაწილაკები როგორცაა გადასცემენ ინფორმაციას ერთმანეთს. აინშტაინი ამ მოვლენის ასახსნელად ხმარობდა ტერმინს უცნაური მოქმედება მანძილზე. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ კვანტური არალოკალურობა შეიძლება გამოყენებული იქნას ინფორმაციის გაცვლისათვის დროის გავლით.

ამ იდეას ამუშავებს და სწავლობს ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფიზიკოსი ჯონ კრამერი. ისიც ცდილობს მსგავსად ექსპერიმენტებს ატარებს რთულ ფოტონებზე, რომელთათვისაც არალოკალურობა იყო დამახასიათებელი. ის ცდილობს გაავსწავოს სიგნალები ანმყოდან ახლო ნარსულში. თუ კრამერის მოწყობილობა ამუშავდება შესაძლებელი იქნება გავზავნილი იქნას სიგნალი ანმყოდან ნარსულში გავზავნიდან ნამის მემილიონედ ნანოლის შემდეგ. ამით შესაძლოა დამტკიცდეს, რომ მოვლენა მომავალში გავლენას ახდენს მოვლენაზე ნარსულში მართალია. თუ ეს დამტკიცდა იქნება დიდი გარღვევა მეცნიერებაში, დიდი გარღვევა კომუნიკაციის ინდუსტრიაში, მედიცინაში და ყველა სფეროში. მაგრამ კრამერი მიიჩნევს, რომ ექსპერიმენტი არ იქნება წარმატებული, რადგან ბუნება არ მოისურვებს, რომ ჩვენ გავვაგზავნოთ ინფორმაცია ნარსულში.

ერთი სიტყვით, დროის აღქმა და ფიზიკური ბუნება ჯერ კიდევ საკმარისად არ არის შესწავლილი. ჩავთვალოთ რომ ოდესღაც უკეთ გავცნობთ დროის საიდუმლოებას, მას შემდეგ რაც ამოვხსნით კვანტური გრავიტაციის ამოცანას, შევძლებთ ავად მოქმედებ დროის მანქანა და... შემდეგ? რას შევცვლით ნარსულში? პასუხი უცნობია. მეცნიერები თვლიან, რომ თუ დროში მოგზაურობი რაღაც გზით მოხვდებიან ნარსულში ისინი უკვე ნარსულის ნაწილები გახდებიან და ვერ შეძლებენ მის ცვლილებას.

ამრიგად, მომავალში მოგზაურობა შესაძლებელია, მაგრამ ეს არის ბილეთი ერთი მიმართულებით. მოგზაურობა ნარსულში თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ტექნოლოგია, რომელიც ამისათვის არის საჭირო, ბევრად ადვილდება თანამედროვე შესაძლებლობებს.

ნუზარ ლომიძე
ფიზიკის დეპარტამენტის
სრული პროფესორი

კალაქპორი:
იოსებ სანიძე

საუბილინში
ნასტან მამუჭაძე



საკადაქმო კოლეჯი:
ნანა მახსოვა
ივანე შანიანი
ნათია ნიქაშვილი
ნიკოლოზი
მედიკალი
დავით პარტაშვილი
გუგუნი ჩაბანაძე
მთა მამუჭაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლო“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7